# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 19 იანვარი 1995 № 5 (230) | ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარშავის ხელშეკრულება:






# საქართველო იტალიით იწყებს!!!

FRANCE 98

მაშ ასე, ვარშავაში შეკრებილმა საზოგადოებამ ორდღიანი სჯა-ბაასის შემდეგ უეფას დასამტკიცებლად წარუდგინა II შესარჩევი ჯგუფის თამაშთა განრიგის ზუსტად ასეთი ვარიანტი. უეფაც რასაკვირველია დაამტკიცებს, რადგან ეს ორგანიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა კალენდრის შედგენის საქმეში, თუ მხარეები რაიმეზე ვერ შეთანხმდებიან. მაგალითად: ახლა რუსებსა და ბულგარელებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამათში გასამართი ორი მატჩის თარიღების თაობაზე და თუ ამ თვის მიწურულს თელ-ავივის შეხვედრაზეც ვერ მორიგდნენ, მაშინ ამ დღეს ითამაშებთო, დაუდგენს უეფა. თუმცა ამათი საქმე რა ჩვენი სადარდებელია, ეს შესავალი ხომ იმად დაგვჭირდა, რომ არავინ შემოგვედაოს — ჯერ დაუმტკიცებელი კალენდრის გამოქვეყნებას რა გრჯიდათო.

თამაშთა განრიგზე არცთუ ბევრი რამაა დამოკიდებული, თუმცა არც მისი მნიშვნელობის დაკნინება შეიძლება. ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებს იდეალური განრიგი ჰქონდა, მაგრამ... საერთოდ, კალენდრის შედგენა ყოველთვის ფავორიტების, ანუ ყველაზე ძლიერი გუნდების წარმომადგენლების ნება-სურვილის გათვალისწინებით ხდება. ძალიან ძნელია, იტალიასა და ინგლისს დიდ ფეხბურთში ახალბედა საქართველომ თავისი აზრი მოახვიოს, მაგრამ ორი წლის წინანდელივით, ვარშავაში ჩვენი დელეგაცია, ვფიქრობ, ფხიანად გარჯილა და აი, რატომ:

1. მთავარი იყო, ჩვენს ნაკრებს არ ეთამაშა გაზაფხულზე — უამრავი ტრავმირებული, ნაბოტკინარი თუ ახლახან გამოჯანმრთელებული ჩვეულ ფორმაში მხოლოდ საშემოდგომოდ იქნება.

2. ვფიქრობ, თუ ჯგუფის უპირველეს ფავორიტთან, იტალიასთან სტუმრობისას რაიმე შანსი გვაქვს, სწორედ შესარჩევი ტურნირის დასაწყისში — იტალია, ტრადიციულად, მძიმედ იწყებს და ბრწყინვალედ ამთავრებს. თან კალენდარი აშკარას ხდის, რომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები, რომელთაც, ალბათ, ევროპის ჩემპიონატის მერე ნაკრების საგრძნობი გადახალისება ელით, მოერიდნენ დასაწყისშივე ინგლისთან და პოლონეთთან თამაშს და ორ აუტსაიდერთან „გასეირნება" ირჩიეს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ იტალიის მწვრთნელი ჩვენს ნაკრებს „საქმეში" ურთიერთშეხვედრამდე ვერ იხილავს, ჩივაძის რომელიმე თანაშემწეს კი შეუძლია მშვიდად, პოლონეთს ვხვდებითთ. თუ მანამდე ამ გუნდმა გასვლის შანსი დაკარგა, სავსებით შესაძლოა, თბილისში ახალგაზრდული გუნდი ჩამოიყვანოს, ისე როგორც საევროპო შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში, აზერბაიჯანთან, გააკეთა.

ჩემი მოსაზრებები გუშინ ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ვოვა პანოვს გავუზიარე. „სავსებით გეთანხმები. ძალიან მეშინოდა, შემოდგომამდე თამაში არ დაგეგმილიყო. კალენდარს დავხედე და მართა-

## განრიგი თითქმის იდეალურია...

ოთხი დღით ადრე ჩავიდეს კიშინიოვში და იტალიის ახალი ნაკრების თამაში იხილოს. მოკლედ, ეს ის პლუსებია, რომლებზე მობლაუჭებაც შეიძლება. არანაირი მინუსი იმას, იტალიასთან გასვლით ვიწყებთო, ჩემი აზრით, არ გააჩნია. ვინმემ იქნებ თქვას — საშინლად რომ წავაგოთ, თამაშის ხალისს დავკარგავთო, მაგრამ მოლდოვასთან თბილისში წაგებაზე საშინელი არა მგონია, რაიმე იყოს.

3. 1997 წლის ივნისში დაგეგმილი ორი თამაშიც მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც შარშან, ზუსტად 7 ივნისს გამართულმა კარდიფის მატჩმა დაგვარწმუნა, საამდროოდ ჩვენი ფეხბურთელები ჩინებულ ფორმაში არიან. ამასთან, თუ ყველაზე იოლ (თუ ასეთად რომელიმე მატჩი ჩაითვლება) — მოლდოვასთან საშინაო შეხვედრაში რაიმე ნაკლი შეინიშნა, ერთ კვირაში მისი გამოსწორება არცთუ ძნელი საქმეა და ვარშავის მატჩსაც უფრო მომზადებულები შევხვდებით.

4. ბოლო ორ მატჩში საქართველოს ნაკრებს ქულათა მაქსიმუმის აღება შეუძლია. საბედნიეროდ, სექტემბერში კიშინიოვში ნისლი იშვიათად იცის, ბოლო თამაშში კი ლი გითხრა, გამეხარდა — !:კენი ნაკრებისთვის თითქმის იდეალურია" — თქვა პანოვმა.

მოკლედ, აწი საქმე მცირეზელაა — სრულად გამოვიყენოთ თითქმის იდეალური განრიგი. ეს, ცხადია, ხუმრობით. სერიოზულად კი, საჭიროა მეტოქეთა კარში იმაზე მეტი ბურთი გავიტანოთ, ვიდრე საკუთარში მივიღებთ და მიზნად დასახული საფრანგეთის საგზური მოვიპოვოთ.

როგორც შევიტყვეთ, ვარშავის მოლაპარაკებაში ინგლისელთა მხრიდან მონაწილეობდნენ მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი, ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი გრემ კელი და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამგებელი დევიდ დევისი. ვენეიბლზი, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე უფლებამოსილების აყრას აპირებს და 1 სექტემბერს კიშინიოვში, ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელის ნათლობა შედგება. თუ ტელეკომპანია „სქაის" მიმომხილველებს ვენდობით, ახალი მწვრთნელი ან ბრაიან რობსონი იქნება, რომელიც ახლა „მიდლსბროს" უდგას სათავეში, ან „ნიუკასლის" ახლანდელი ხელმძღვანელი კევინ კიგანი. ასე თუ ისე, პირველი კომენტარის გამოთქმა ისევ ვენეიბლზს მოუხდა: „ჩვენი პირველი მოწინააღმდეგე მოლდოვა ისეთივე რთული მეტოქეა, როგორიც ნებისმიერი სხვა. ვფიქრობ, იდეალური იქნებოდა, პირველ მატჩში ამ გუნდისთვის გვემასპინძლა, მაგრამ საქმე ისაა, რომ კალენდარი სრულიად დაბალანსებული უნდა იყოს, როგორც ახლაა. სექტემბერში თამაშს თავიდან ვერ ავიცილებდით. იტალიასთან კი სულ ბოლოს შინ შეხვედრა გვერჩივნა, მაგრამ მაგ შემთხვევაში პირველი ოთხიდან სამი სტუმრად უნდა გვეთამაშა, რაც ბალანსს დაარღვევდა."

როგორც მწვრთნელის კომენტარიდანაც ჩანს, ინგლისელებმა უპირველესი აქცენტი სწორედ ბალანსზე გააკეთეს. მეორე, რაც მათ დიდი ყურადღება დაუთმეს, თავისუფალი უქმეებია. იმ უქმეებზე, როდესაც ნაკრები ითამაშებს ან სოთხშაბათოდ შეკრებაზე იქნება, ამჯერად ქვეყნის ჩემპიონატის ტური არ გაიმართება. ამგვარად კლუბებს დასვენებისა და „საშინაო დავალებების" მომზადებების დრო და საშუალება გამოუჩნდებათ. ინგლისელებმა გამოთვალეს, რომ ამ შესარჩევი ტურნირის განმავლობაში, ასეთი თავისუფალი უქმე შვიდი გამოდის.

დევიდ დევისმა განაცხადა, რომ მიღებულია მათთვის ხელსაყრელი კალენდარი, რომელიც ინგლისის ნაკრებს საფრანგეთის საგზურის მოსაპოვებლად კარგ ბაზისს უქმნის.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ კალენდარს „პროიტალიური" უფრო ეთქმის, ვიდრე ინგლისური. ზემოთ ამ განრიგის ჩვენთვის ხელსაყრელ მომენტებზეც ვისაუბრეთ. ასე რომ, მთავარი მაინც თამაშია და ვინც ამას უკეთ შეძლებს, მოგებულიც ის დარჩება.

ზურაბ მეძველია

### მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ევროპის II შესარჩევი ჯგუფის განრიგი

**1996**

1 სექტემბერი, კვირა
მოლდოვა — ინგლისი

5 ოქტომბერი, შაბათი
მოლდოვა — იტალია

9 ოქტომბერი ოთხშაბათი
იტალია — საქართველო
ინგლისი — პოლონეთი

9 ნოემბერი, შაბათი
საქართველო — ინგლისი

10 ნოემბერი, კვირა
პოლონეთი — მოლდოვა

**1997**

12 თებერვალი, ოთხშაბათი
ინგლისი — იტალია

29 მარტი, შაბათი
იტალია — მოლდოვა

2 აპრილი, ოთხშაბათი
პოლონეთი — იტალია

30 აპრილი, ოთხშაბათი
ინგლისი — საქართველო
იტალია — პოლონეთი

31 მაისი, შაბათი
პოლონეთი — ინგლისი

7 ივნისი, შაბათი
საქართველო — მოლდოვა

14 ივნისი, შაბათი
პოლონეთი — საქართველო

10 სექტემბერი, ოთხშაბათი
საქართველო — იტალია
ინგლისი — მოლდოვა

24 სექტემბერი, ოთხშაბათი
მოლდოვა — საქართველო

7 ოქტომბერი, სამშაბათი
მოლდოვა — პოლონეთი

11 ოქტომბერი, შაბათი
საქართველო — პოლონეთი
იტალია — ინგლისი

## არსენამ ბიჭები წაგვგვარა

ანთალიაში ნამდვილი საფეხბურთო ციებ-ცხელებაა. არაერთი ქვეყნის გუნდი სეზონისწინა სამზადისს სწორედ იქ გადის. მათ შორისაა სოჭის „ჟემჩუჟინაც“. ამათი მარგალიტობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამტრედიელები — დათო ჯანაშია და ზურაბ იონანიძე რომ გადაიბირეს, ეს ნაღდია. არსენას (ნაიდენოვის) ბიჭები „ანკარაგიუჯუს“ შეხვედრიან და 1:0 მოუგიათ. სადებიუტო მატჩში ჩვენებურები მხოლოდ პირველ ტაიმში ათამაშეს. ჯანაშია მისთვის უჩვეულო, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე დააყენეს, იონანიძე კი თავდასხმაში.

## ძნელია უკილასონიებოდ

გივი ნოდიას სათავკაცო ნევისპირელთა „ლოკომოტივმა“ ლიტველთა ორსახელიან „კარედა-საკალასთან“ საკონტროლო მატჩი 1:4 წააგო. ლიტველები ავსტრიიდან სამშობლოში დაბრუნებული ნაკრების წევრებით — ბარანაუსკასით, სტუმბრისით, პოციუსით და კირილოვით გაძლიერებულან. ძმებ კილასონიებს ამ შეხვედრაში არ უთამაშიათ, ისევე როგორც ყოფილ მეტალურგელ ალექსანდრე ბურნაძეს, რომელიც პეტერბურგს ჯერ არ გამგზავრებულა.

## ჩიხრაძე გოლებში გამეცადინდა

უკრაინის პირველი ლიგის სევეროდონეცკის „ხიმიკთან“ საკონტროლო მატჩი დონეცკის „შახტიორმა“ 3:0 მოიგო. ერთი გოლი საქართველოს ნაკრების წევრმა, მცველმა გიორგი ჩიხრაძემ გაიტანა. ეს მისთვის უჩვეულო არ გახლავთ — ამ საქმეში იგი უკვე დასრულებულ უკრაინის ჩემპიონატშიც გამოირჩეოდა.

## «მარგვეთიც» წავა ანთალიას

ზესტაფონის „მარგვეთმა“ ადრევე დაიწყო მეორე წრისთვის მზადება და 7 იანვრიდან შეიკრიბა სავარჯიშოდ. ამჟამად გუნდი შინ ემზადება, 8 თებერვლიდან კი ანთალიას გაემგზავრება.

## «ლიეჟი»: ან ჰო, ან არა

ანთალიაში მყოფმა თბილისის „დინამომ“ მეორე საკონტროლო მატჩში, ამჯერად რუსეთის მეორე ლიგის ბინადარ ნოვოკუზნეცკის „მეტალურგთან“ ფრედ — 0:0 ითამაშა.

20 იანვრისთვის დაგეგმილი შეხვედრა ბელგიის „ლიეჟთან“ შესაძლოა არ შედგეს და ამ კლუბის ნაცვლად „დინამოს“ თურქეთის უმაღლესი ლიგის „ანთალიასფორი“ ეთამაშოს.

## ჩინეთში ქართველებიც მრავლდებიან

ადრე გაუწყეთ, გოჩა ჟორჟოლიანი ჩინეთს რომ გაემგზავრება, ყოფილ თანაგუნდელს სოსო მალანიასაც წაიყვანსო. ჟორჟოლიანი გუშინწინ მოსკოვიდან გაფრინდა შანხაიში და მალანიას გარდა ყოფილი ოჩამჩირელი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი რომეო გოგიტაძეც უახლებია. გოგიტაძეს რუსეთის რამდენიმე გუნდისგანაც ჰქონდა წინადადება, მაგრამ ჩინეთი აურჩევია.

## შვედეთში ბედის საძებრად

ოცდახუთი წლის ბია ბაბუაძეს ჯერ კიდევ ვერ უპოვნია ის კლუბი, სადაც სრულად გამოავლენს შესაძლებლობებს. არადა, ბავშვობიდანვე ისე მისდიოდა საქმე, დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა. გაგრელი ჭაბუკი ყმაწვილობიდანვე საქართველოს ნაკრების კარის დარაჯი იყო, 1986 წელს კი საფრანგეთში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატზე სსრკ ნაკრების კარს იცავდა. მერე თბილისის „დინამოს“ დუბლშიც მოხვდა, მაგრამ სხვა ნიჭიერი ბიჭებისა არ იყოს, მთლად ვერ გადინამოელდა. შემდეგ ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა. ეროვნული ჩემპიონატი კი ხობის „კოლხეთში“ დაიწყო და ოჩამჩირის „ამირანში“ გააგრძელა. ერთი პერიოდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებასაც იცავდა [illegible] ლობერიძის ტურნირზე. მერე კი ომმა ყველაფერი არივ-დარია და გიასაც მისი ძმაკაცის მიშა ჯიშკარიანისეული უბედობის ეპიდემია შეეყარა. არადა, ერთი ხანობა უკრაინის პრესა ძალზე აქებდა კიდეც ან რატომ არ უნდა შეექო შეპეტოვკის „ტემპის“ მეკარე, როცა კიევის „დინამოსთან“ ისე ითამაშა, ჟურნალისტებმა უკრაინაში უმაღლესი შეფასება - 7 დაუწერეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებში უყოყმანოდ დააყენეს. მეორედ მისი გვარი ამ ნაკრებში ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ მატჩის მერე მოხვდა, როცა ქართველმა მეკარემ ზედიზედ ორი პენალტი მოიგერია!

— გია, „ტემპი“ ნელ-ნელა დაიცალა ქართველებისგან. შენ რად მიატოვე შეპეტოვკა?

— უმაღლესი ლიგის დატოვების შემდეგ პირველ ლიგაში ხმელნიცკის „ადვისს“ შევუერთდით და პირველი წრეც ასე ვითამაშეთ. გუნდში მარტო მე და ძმები კაპანაძეები დავრჩით. პირველი წრის ბოლოს, როცა შეპირებული ბინა და მანქანა უნდა მიმეღო, „ტემპ-ადვისი“ დაიშალა, ჯუმბერ ნიშნიანიძე სადღაც გადაიკარგა, უამრავი ვალი ჰქონია. ძმები კაპანაძეები ტერნოპოლის „ნივამ“ მიიწვია, მე კი საქართველოში გამოვწიე.

მიშას „კამაზის“ გარდა გოჩა ჟორჟო[illegible] უკრაინის უმაღლესი ლიგის ლუგანსკის „ზარია“ და ბორისპოლის „ბორისფენიც“ მეძახდნენ, მაგრამ დიდი ფიქრის შემდეგ მაინც ჩემი მენეჯერის, შეპეტოვკის „ტემპში“ გუნდის უფროსად მომუშავე შერშუნის წინადადებას დავყაბულდი: შერშუნმა მითხრა, ჩამოდი, ჯერ ჩეხეთში მყოფ ტერნოპოლის „ნივაში“ გაგიშვებ, შეკრებას იქ გაივლი, მერე კი შვედეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში გასასინჯად წაგიყვანო. პასპორტი და ბილეთები უკვე მზადაა და მეც ეს ვარიანტი ვარჩიე.

— შერშუნს შვედეთის კლუბი არ დაუსახელებია?

— კლუბი არ უთქვამს. რამდენიმე ვარიანტია. შვედეთში სამი-ოთხი ძლიერი კლუბის გარდა საშუალო დონის გუნდები არიან. ჰოდა, მეკარეს ეძებენ. თუ მოვეწონე, ორწლიან კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი — ჩემთვის ყველაზე მთავარს — ბინის პრობლემასაც ითვალისწინებს. ჩემი მშობლები დღემდე სასტუმრო „ივერიაში“ ცხოვრობენ და გული მიკვდება, ერთი სული მაქვს, ბინით როდის გავახარებ.

— უკრაინაში ჩემპიონატი კარგა ხნის დამთავრებულია, სად ემზადებოდი?

— „დინამოს“ ბაზაზე, დიღომში. ჭაბუკობაში ნოდარ აკობიასთან ვიყავი „დინამოს“ დუბლებში და ახლაც მან გამიხერხა ცნობილ იური სტადუხინთან ვარჯიშები.

— ერთი პირობა ისიც გავიგე, „დინამომ“ შესთავაზა დარჩენაო.

— ორჯერ მოხდა ეგ ამბავი. „დინამოში“ თამაში რა სჯობია, მაგრამ მე აუცილებელ პირობად ბინას ვითხოვ, თანაც, რაც შეიძლება მალე. კლუბს კი საამისოდ გარკვეული დრო სჭირდებოდა. მშობლები რომ არ მაწვენენ კისერზე, სიხარულით მივიღებდი „დინამოს“ წინადადებას, მაგრამ უბინაობა აღარ შემიძლია. თანაც, გავიგე, „დინამოში“ ჩემი ძმაკაცი, ნიკა ჩხეიძე ჩამოდისო, ასე რომ, ამდენი მეკარე აღარ დასჭირდებათ.

— ჩვენი „უკრაინელებისა“ რა იცი?

— ჯულელი „ზარიაში“ სასწაულებს სჩადის. გიორგი ჩიხრაძე ახლა კლუბთან ერთად გერმანიაში იმყოფება. როგორც მითხრეს, გერმანიის ნაკრებთან ჩვენი თამაშის შემდეგ ჩიხრაძით ვიღაც-ვიღაცეები დაინტერესებულან. ასე რომ, არაა გამორიცხული კიდევ ერთი ქართველი მცველი ვიხილოთ ბუნდესლიგაში.

— კიევის „დინამოსთან“ მატჩი რომ არ წაგეგოთ, ერთი ქულა უმაღლეს ლიგაში დაგტოვებდათ და ვინ იცის, იქნება ახლა პრობლემები აღარც კი გქონოდა...

— [illegible] თვე გავაცდინე და, ფაქტობრივად, უვარჯიშებელი ჩამაყენეს კარში. უკრაინის ფეხბურთში დიდ ფული ტრიალებს და პროვინციული „ტემპი“, მითუმეტეს ქართველებით სავსე, არად ეპიტნავებოდათ. თავი მოვიკალი იმ თამაშში, მსაჯი კი არ აპირებდა დამთავრებას. მატჩის 97-ე წუთი იყო, როცა ზედიზედ ორი დარტყმა მოვიგერიე ახლოდან, მცველებს კი ისე ჩაეძინათ, ჩემი ნაკრებისდროინდელი მეგობრის, ბეჟენარის დარტყმა გამოეპარათ და ასე წავაგეთ. ცოტა ხნის ნავარჯიშევი რომ ვყოფილიყავი, ვინძლო ის დარტყმაც ამეღო...

— შვედეთში გასასინჯად მარტო მიდიხარ თუ სხვა ფეხბურთელებიც იქნებიან?

— რამდენადაც ვიცი, იური გაბისკირიაც უნდა წამოვიდეს. იურას „კამაზიც“ ეპატიჟება, რომელმაც ქართველი თავდამსხმელის გამო უკვე გაიგო. ასე რომ, საქმე ასარჩევად აქვს.

— ბერტია და რეხვიაშვილი თუ მოეწონათ „დნეპრში“?

— „დნეპრი“ კიევის „დინამოსთან“ და „ჩერნომორეცთან“ ერთად ყველაზე ფულიანი კლუბია უკრაინაში. რამდენადაც ვიცი, ორივეს იტოვებენ.

— [illegible] დისკვალიფიკაციის ჩვენთვის უცნობი რაიმე დეტალი ხომ არ იცი?

— პრესაში თითქმის ყველაფერი დაიწერა. ისე კი, უკრანაში ყველას ჰგონია, რომ ამაში რუსების ხელი ურევია. ჩემი აზრით, არც უმაგისობაა.

მამუკა კვარაცხელია



## უნივერსიადაზე ჩვენც ვითამაშებთ

II ლიგის ერთ-ერთი ლიდერის თბილისის „მორკინალის“ მთავარ მწვრთნელთან ელგუჯა გუგუშვილთან შეხვედრის მიზეზი ის გახლდათ, რომ გაის ზაფხულს ამ გუნდმა პალერმოში მსოფლიო უნივერსიადაზე უნდა იასპარეზოს.

— მსოფლიო უნივერსიადა, მოგეხსენებათ, საკმაოდ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება — გვითხრა ბატონმა ელგუჯამ — ჩვენ წინა, იაპონიაში გამართულ უნივერსიადაშიც გვსურდა მონაწილეობა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ შევძელით. ამჯერად კი სპონსორი გამოგვიჩნდა — „კონცერნ „მორკინალის“ და ჩვენი გუნდის პრეზიდენტი ჯონი გიგანი, რომელიც საჭირო პირობების შექმნას შეგვპირდა.

— შეძლებს კი მეორე ლიგის გუნდი ღირსეულად გამოვიდეს ასეთ ტურნირში?

— მართალია, „მორკინალი“ მეორე ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ ოპტიმიზმს ერთი ფაქტი მიძლიერებს — ჩვენი ხუთი მოთამაშე ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა. თანაც ყველა უძლიერესი ქართველი სტუდენტი ფეხბურთელი ჩვენთან იქნება. ასე, რომ ჩვენთან უნივერსიადაზე მხოლოდ „მორკინალის“ ფეხბურთელები არ ითამაშებენ.

— ახალგაზრდული ნაკრების წევრობა რამდენად გამოდგება წარმატებული თამაშის არგუმენტად — ამ გუნდმა ხომ თავი ვერაფრით გამოიჩინა?

— გამოცდილება ხომ შეიძინეს! ეს ერთი. მეორე კი ჩვენზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორ წარვმართავთ სელექციას და მომზადებას. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც — პალერმოში ცხრა დღეში შვიდი მატჩი გვიწევს. შევეცდებით, მზადების ბოლო ეტაპზე 4-5-ჯერ მაინც ასეთი გრაფიკით ვითამაშოთ და წინასწარ შევემზადოთ.

— ფინალურ ეტაპამდე შესარჩევი ციკლი ხომ არ გელით ?

— არა, ყოველგვარი შესარჩევი ციკლის გარეშე, პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ვითამაშებთ — მოწვევა დეკემბერში მივიღეთ.

— როგორც ვიცი, ამ ტურნირზე ასაკობრივი ცენზი დაწესებული არ არის.

— მართალია, ეგაა, უნივერსიადაზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ დასწრებული სწავლების სტუდენტებს ეძლევათ.

— გუნდის გასაძლიერებლად ვის დამატებას აპირებთ?

— ამაზე ნაადრევია საუბარი, შეჯიბრებამდე საკმაო ხანია და ვინ იცის, ვინ როგორ ფორმაში იქნება იმ დროისთვის, ვინ მოერგება ჩვენს სათამაშო მოდელს. თუმცა, ძირითადი ბირთვი მაინც „მორკინალიდან“ შეირჩევა.

— თბილისის „დინამოდან“ და სხვა ძლიერი გუნდებიდანაც დაიმატებთ მოთამაშეებს?

— ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელიც იმ დროს ფორმაში იქნება, ითამაშებს უნივერსიადაზე — სხვაგვარად შეუძლებელია წარმატების მიღწევა.



— ამ საკითხზე გუნდების ხელმძღვანელებს თუ ესაუბრეთ?

— ჯერ არა, რადგან მიწვევა ეს-ესაა მივიღეთ. მთავარია, რომ ფეხბურთის ფედერაცია ყოველნაირად ცდილობს წარმატებით გამოვიდეთ იტალიაში.

— რომელიმე ცნობილი სპეციალისტი თუ მოგეხმარებათ?

— ამ მხრივ ცვლილება მოსალოდნელი არ არის — „მორკინალში“ მომუშავე გამოცდილი ხალხი — თენგიზ კუბლაშვილი და სპარტაკ აუშტროვი დამეხმარება.

— მომზადების გეგმა უკვე შეადგინეთ?

— სამზადისი ეტაპებად დავყავით. პირველი მეშვიდე ჩემპიონატის ბოლომდე გაგრძელდება და ამ პერიოდში ფეხბურთელთა ფუნქციონალურ მომზადებას მივაქცევთ ყურადღებას, ამავე დროს, ტაქტიკურ ვარიანტებსაც დავამუშავებთ. გაისიდან კი მთლიანად ტაქტიკაზე გადავიტანთ ყურადღებას — ტაქტიკურად გაუმართავი გუნდი წარმატებას ვერ მიაღწევს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ფიზიკური მომზადებაც. საბოლოოდ კი, მოთამაშეებმა უნდა მიაღწიონ აზროვნების, მოძრაობისა და შესრულების სისწრაფეს.

— რამდენი გუნდი ითამაშებს უნივერსიადაზე და რა პრინციპით შეირჩნენ მონაწილეები?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვთამაშობთ.

— ბევრჯერ ახსენეთ წარმატების მიღწევაზე ფიქრი. თქვენ რას გულისხმობთ წარმატებაში?

— იმედია, ბოლონი არ ვიქნებით. მიზანი, სულ მცირე, სამეულში მოხვედრაა, თუ არა ჩემპიონობა.

მერაბ მამულაშვილი

## «მერანი-91» I ჯგუფს უმიზნებს

მერანელები მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის ლიდერებად მას შემდეგ მოგვევლინენ, რაც გუნდს ფოთის „კოლხეთიდან“ გადმოსული სერგო გაბელაია ჩაუდგა სათავეში. ძველი მწვრთნელი ანზორ გძელიძე კი გუნდის უფროსად გადაიყვანეს. ეს პირველი წრის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე მოხდა. მაშინ ჯგუფში პოლიციელთა „აკადემია“ 37 ქულით ლიდერობდა, „მერანი-91“ კი 32 ქულით მეორე ადგილზე იყო. საბოლოოდ, გუნდებმა, შესაბამისად, 40 და 41 ქულით დაასრულეს პირველი წრე. სერგო გაბელაიას გუნდში გადმოყვანის მიზეზი ესაა — „მერანი-91“-ის აწ უკვე გადეპუტატებული პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე დაინტერესებულია პირველ ჯგუფში გადასვლით და გუნდის გაძლიერებით. „მერანი-91“ მალე თბილისში, საკუთარ სტადიონზე — ავჭალის „სინათლეზე“ დაიწყებს მზადებას. ცვლილებები უმნიშვნელოა — წავიდა პაატა მეტრეველი, რომელიც „დინამოს“ სპორტსკოლაში მწვრთნელად იმუშავებს, თელავის „კახეთიდან“ კი მცველი ზაზა ცქიფურიშვილი დაიმატეს. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებამ გუნდის ხელმძღვანელობას პრემიების ორჯერ გაზრდის საშუალება მისცა.

მეორე წრე მალე დაიწყება და მაშინ გამოჩნდება, რამდენად რეალურია „მერანი-91“-ის ამბიციები.

გიორგი ხუციშვილი

# „სიონი" ამას არ იმსახურებს...

**ვინ იტყვის, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდისთვის მეთოთხმეტე ადგილი ნორმალური შედეგიაო. სწორედ ამ არასახარბიელო ადგილით დაასრულა პირველი წრე ბოლნისის „სიონმა", რომელიც მთელი წრის მანძილზე არ მოშორებია სახიფათო ზონას. ამიტომაცაა გასაოცარი ბოლნისელმა მწვრთნელის ნოდარ ხიზანიშვილის ოპტიმიზმი. იგი არათუ ჯგუფში დარჩენაზე, რაც შეიძლება უკეთესი ადგილის დაკავებაზე ფიქრობს. ბუნებით მშვიდი და აუღელვებელი თითოეულ სიტყვას წონის და გაფიქრებინებს, რომ მისი ოპტიმიზმი ლიტონი სიტყვები არ არის.**



**— „სიონი" დებიუტანტი კია, მაგრამ თუ ელოდით ასეთ არასასურველ შედეგს?**

— რა თქმა უნდა, მეთოთხმეტე ადგილს მიღწევად არავინ ჩათვლის, მაგრამ იმას კი გამოვრიცხავ, რომ „სიონი" პირველ ჯგუფს დატოვებს. ჩვენ სერიოზულად ვემზადებოდით ჩემპიონატისათვის და როგორიც არის, სადღეისოდ იმ შედეგისა კმაყოფილი ვარ. ჩვენ გავიარეთ ადაპტაცია ჯგუფში და დარჩენა-ვერ დარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტადაც მიმაჩნია. პირიქით, მეორე წრეში რამდენიმე საფეხურით წინ წაწევაზე ვფიქრობთ.

**— იმედი თავისთავად კარგი რამაა, მაგრამ მოდით, უფრო კონკრეტულები ვიყოთ. გაკმაყოფილებთ თქვენი გუნდის თამაშის დონე და ხარისხი, ფეხბურთელთა შეთამაშება, სათამაშო დისციპლინა, მოკლედ ყველა ის კომპონენტი, რომლებიც საბოლოოდ წარმოაჩენენ კიდეც გუნდის სახეს?**

— კმაყოფილი, ბუნებრივია, არა ვარ. ფეხბურთელები მრავალ ტაქტიკურ ამოცანას ვერ ასრულებენ.

**— მიზეზი?**

— ელემენტარული. არ გვყავს მაღალი დონის შემსრულებლები. მეორე ჯგუფიდან გადმოსვლის მერე, ფაქტობრივად, არავინ დაგვიმატებია ისეთი, გუნდის ლიდერობა რომ იკისროს. სწორედ ამას ვთვლი ძირითად მიზეზად. ამისთანა მოთამაშეების გარეშე წარმატებასა და თამაშის ხარისხზე ლაპარაკი ფუჭია. მათ მოწვევას კი დიდი თანხები სჭირდება.

**— ამ მხრივ, ეტყობა, მაინც და მაინც არ უნდა გილხინდეთ. უამისოდ კი, საეჭვოა, წინსვლა მოახერხოთ. თანაც, მეორე წრეში ზემოთაც და ქვემოთაც დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. არა მგონია, „გურიამ" გულხელდაკრეფილი უყუროს თავის აღსასრულს.**

— გუნდს ფული სტაბილურად ეძლევა. ვერ ვიტყვი წამყვანი გუნდების დონეზე-მეთქი, მაგრამ რაიონის გუნდისა და დღევანდელი ვითარების კვალობაზე მთლად ცუდ დღეში არა ვართ.

**— მართალია, საქართველოში „კოკა-კოლას" ფილიალის პრეზიდენტი, წარმოშობით ბოლნისელი თემურ ჭყონია „სიონს" ეხმარებაო?**

— სიმართლე გითხრათ, იყო შეპირებები, ვიცი, რომ ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცია, ბევრ სპორტსმენსა თუ გუნდს ეხმარება, მაგრამ ჯერ ჩვენთვის ვერ მოიცალა. იმედი მაინც მაქვს, რომ „სიონსაც" გადმოხედავს წყალობის თვალით.

**— ამ შემთხვევაში, როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, გუნდს მფარველის სახელი „კოკა-კოლა" ხომ არ დაერქმევა? ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით...**

— მე დღევანდელიც ძალიან მომწონს — „სიონი" მშვენიერი სახელია. ისე, სახელს რა არსებითით მნიშვნელობა აქვს.

**— წარუმატებელი სტარტის შემდეგ მოთამაშეები დაიმატეთ: მეკარე ნოდარ სიდამონიძე, მცველი ზვიად პაპიძე, სხვებიც...**

— მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. სიდამონიძე რომ თავიდანვე გვყოლოდა, ასეთ უხეირო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. ძალიან დიდ პატივს ვცემ ზვიად პაპიძეს. მისი მოსვლა ორმხრივად სასარგებლო იყო — იგი „სიონსაც" სჭირდებოდა, თავად კი უგუნდოდ იყო, არადა, ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ფორმა რომ შეენარჩუნებინა და ოჯახი ერჩინა, ვთხოვე სეზონის ბოლომდე „სიონში" ითამაშე-მეთქი. დაგვთანხმდა და მას შემდეგ ჩვენი წინსვლა დაიწყო. მოკლედ, ახალთა დახმარებით მეტს შევძლებთ. ამიტომაც მიმაჩნია შეუფერებლად ასეთი გუნდისთვის მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილი და თორმეტი ქულა. თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ, ბოლო ტურში ჩვენი შეხვედრის შემდეგ გვითხრა კიდეც — „სიონი" პოტენციურად არ იმსახურებს აუტსაიდერებში ყოფნასო.

**— შარშან „სიონი" ვეტერანთა გუნდად იწოდებოდა, პირველ ჯგუფში გადმოსვლისასაც — კონკურენტებზე, ვთქვათ, „მერანი-91"-ზე უკეთეს შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. რა შეიცვალა I ჯგუფში გადმოსვლის შემდეგ?**

— რა თქმა უნდა, მეორე ჯგუფში ის დონე არ არის, რაც - პირველში. ბიჭებს ხშირად ვაფრთხილებდი, სულ სხვა მომზადება იქნება-მეთქი საჭირო. ამაში თავადაც დარწმუნდნენ, როდესაც პირველ ტურში „კოლხეთს", საკმაოდ ძლიერ გუნდს ვუმასპინძლეთ. თანაბარი ბრძოლა გავუმართეთ, თუმცა მხოლოდ სამოცდაათი წუთის მანძილზე. მიზეზი? თუ გუნდს არ ექნება ელემენტარული პირობები, ნორმალური კვება და სხვა ბევრი აუცილებელი კომპონენტი, წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ჩვენ რომ დაგვაკმაყოფილებს იმნაირ პირობებს ვგულისხმობ და არა უცხოელების მსგავსს. ფეხბურთელმა დღეში ორჯერ უნდა ივარჯიშოს და მთელი სეზონის დატვირთვას გაუძლოს. ვფიქრობ ამან გამოიწვია ჩვენი უფერული თამაში. ბიჭები ფიზიკურად პირველი ჯგუფის საკადრისად ვერ დავტვირთე. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. 1993 წელს მე და გაიოზ დარსაძემ ჰოლანდიაში, ევროპის ახალგაზრდების ოლიმპიურ დღეებზე საქართველოს ნაკრები წავიყვანეთ. სტარტი ჩინებული ავიღეთ, საკმაოდ დამაჯერებლადაც მოვიგეთ. კარგად ითამაშეს ამჟამად თბილისის დინამოელებმა იაშვილმა, კალაძემ, მუჯირმა, ტორპედოელმა შენგელიამ, სამტრედიელმა ჩომახიძემ. მეორე თამაშზე რომ ჯა[illegible] გუნდს ველარ ვცნობდი, ბოლოს კი პორტუგალიელებთან სულაც 1:7 წავაგეთ. ც[illegible]ა გვაინტერესებდა — რა დაემართათ ასე [illegible] ფეხბურთელებს? ამის შემდეგ [illegible]არსაძე მწვრთნელთა სემინარზე რინუს მიხელსს გასაუბრებია. მას ენახა ჩვენი ბიჭების თამაში ჰოლანდიაში. პირველად ეს უკითხავს, რას აჭმევთ ამ ბიჭებსო. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე გუნდის წარუმატებელი თამაშის ერთ-ერთ მიზეზად მე ცუდი კვებაც დავასახელე. მახსოვს, მაშინ ბევრის თვალებში ღიმილი შევნიშნე. არადა, არა მგონია, რინუს მიხელსზე უკეთ ბევრი ერკვეოდეს ფეხბურთში და ესმოდეს თითოეული ნიუანსის მნიშვნელობა და გავლენა საბოლოო შედეგზე.

**— ამ თქვენი გასაჭირის კვალობაზე ცოტა უცნაურიც კი იყო მეოთხე ტურში ზუგდიდის „დინამოსთან" დიდი ანგარიშით — 5:2 მოგება. რაც უნდა იყოს, ზუგდიდს ყოველთვის ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავს და მათთან ასეთი მოგება არ არის პატარა საქმე.**

— ეს თამაში ჩვენთვის საკმაოდ მძიმედ დაიწყო — ვაგებდით კიდეც, მაგრამ შემდეგ გარდატეხა მოხდა. არ მიმაჩნია, რომ ზუგდიდს თავისუფლად მოვუგეთ. ეგ იყო, ფოთელებთან შეხვედრის შემდეგ ბიჭებმა ირწმუნეს, რომ ზუგდიდთან და მით უმეტეს ხაშურთან თუ ყვარელთან მოგება შეიძლებოდა. მინდა ისევ დავუბრუნდე თბილისის „დინამოსთან" შეხვედრას. ეს იყო, ასე ვთქვათ, ჩვენი საჩვენებელი შეხვედრა. წაგების მიუხედავად ხელმძღვანელობამ მადლობა გადაგვიხადა. წავაგეთ კი, მაგრამ ბიჭებში იმედი ჩაისახა, რომ „სიონს" გაცილებით მეტის უნარი შესწევს, ვიდრე ეს პირველი წრის ცხრილიდან ჩანს, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ რაიონი ამოგვიდგება მხარში - ფინანსურად უპირველესად. თუ ასე მოხდა, დარწმუნებული ვარ, ბოლნისში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჩამოყალიბდება.

**— გუნდს ძლიერ უჭირდა სტუმრად თამაში...**

— ეს, საერთოდ, ქართული ფეხბურთის სენია. საბჭოთა კავშირის დროინდელი „დინამო" ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ სტუმრად მოგებას იშვიათად ვახერხებდით.

**— მიზეზი?**

— ეს არც საიდუმლო იქნება ვინმესთვის და არც მოულოდნელი - მეორე წრეში, ნახავთ, როგორი ბრძოლაც გაჩაღდება. წეღან რომ „გურია" ახსენეთ, ისიც ყველა ღონეს იხმარს გადასარჩენად. მაგრამ სტუმრად ყველას გაუჭირდება. ამას ახსნა მოეძებნება. სამაგალითოდ ბათუმში თამაშს გავიხსენებ. 0:3 წავაგეთ. თამაშამდე [illegible]ნიდან წინასწარ დეპეშა ვაფრინეთ, — სასტუმროში ადგილების დაჯავშნა გვსურდა. როგორ მუშაობს ჩვენი კავშირგაბმულობა, მოგეხსენებათ — ამის გამო დეპეშა არ ჩასულა. ფეხბურთელები წინა დღეს გავამგზავრეთ, მე კი თამაშის დღეს უნდა ჩავსულიყავი ბათუმში. ჩასულმა მოთამაშეები შავ დღეში მყოფნი ვიხილე — თურმე ღამე ავტობუსში გაეთენებინათ. ფეხებს ძლივს შლიდნენ, ნაცვლად იმისა, რომ ნო[illegible] სტუმრად კარგ შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— არც სხვა გუნდები იყვნენ უკეთეს დღეში, მაგრამ სტუმრადაც იგებდნენ...**

— კიდევ ვიტყვი, თუ გუნდში ლიდერი, ნიჭიერი ფეხბურთელი არა გყავს, ძნელია წარმატებაზე ფიქრი. მსგავს დღეში მყოფნი რომ ახსენეთ, რუსთავის „მეტალურგი" გამახსენდა. მაგრამ მათ უნიჭიერესი მოთამაშეები ჰყავთ. მათ ორი ღამეც რომ არ ეძინოთ, მოედანზე თავის საქმეს მაინც გააკეთებენ. პროფესიონალები არიან და იმიტომ.

**— თუ გეგულებათ ასეთი მოთამაშე და თუ აპირებთ ახლების დამატებას? საერთოდ რომელი რგოლის გაძლიერება გესაჭიროებათ?**

— ფაქტიურად ყველასი. კონკრეტულად ახალთა დამატებაზე გამიჭირდება პასუხის გაცემა, რადგან ეს ფინანსებზეა დამოკიდებული. ჩვენი ფეხბურთელები სტოვებენ საქართველოს და უცხოეთში მიდიან რაღაც გროშების გულისთვის, ჩვენ კი ეს გროშებიც არ გაგვაჩნია. ფული თუ იქნება, „სიონს" კი არა, მთელს საქართველოს ეშველება. თანაც, ლოგიკურიც არის, რომ თბილისელი ფეხბურთელი არ წავიდეს ბოლნისში, თუ ფინანსური მდგომარეობა აქაც და იქაც ერთნაირი იქნება. ერთადერთი „დილაა" ადგილობრივებით რომ არის შევსებული. ისინიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან, თუმცა სხვა გრძნობა ამოძრავებთ, რაკილა საკუთარ ქალაქში თამაშობენ. ამიტომაც საშუალო დონეს ყოველთვის ინარჩუნებენ. ჩვენ კი მოთამაშეები ჩამოვიყვანეთ ქუთაისიდან, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. ისინი წამოვიდნენ ერთი მიზნით — ოჯახი არჩინონ, მე მესმის მათი პრეტენზიები — ზოგჯერ ხელფასებს ვუგვიანებთ, მაგრამ რა შემიძლია? ბოლნისი პატარა რაიონია და დიდი თანხები არ არის. თანაც წარმოებები გაჩერებულია.

**— ასეთ შემთხვევაში ერთი გამოსავალი გრჩებათ — ეძებოთ ნიჭიერი ბავშვები საფეხბურთო სკოლებში, ცხადია სხვა საქმეა, იქ როგორ მუშაობენ...**

— სხვათა შორის, ბოლნისში ცნობილთი საფეხბურთო სკოლაა. იქ ბევრი კარგი მოთამაშე გაზრდილა — მიშა ყაველაშვილი, ფირუზ რეხვიაშვილი, ცნობილი თემურ სტეფანია და სხვები. მაგრამ, დღეს ამ სკოლაში სავალალო მდგომარეობაა. მთავარი — საკუთარი მოედანი არ გააჩნიათ.

**— თუ ჩანს პერსპექტივა?**

— მჯერა, ბოლნისში მალე ფეხბურთის ბუმი იქნება და ბავშვთა სკოლებიც ამუშავდება. ბოლნისის გამგებელი გურამ ავქო[illegible] როგორც მამამისი — ჩვენი გუნდის პრეზიდენტი ვაჟა ავქოფაშვილი.

**— „სიონი" თქვენთვის უმაღლესი ჯგუფის მეორე გუნდია. ბოლნისამდე „სამტრედიაში" მუშაობდით, სწორედ მაშინ, როდესაც ჩაჩუა მივიდა გუნდში...**

— სხვათა შორის, სამტრედიაში უფრო მძიმე დღეები მაქვს გადატანილი, ვიდრე ბოლნისში. მაშინ დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი იყო. რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, დავალებაც შევასრულეთ, მაგრამ, ვაი იმ შესრულებას. როგორია, იცხოვრო გამუდმებულ შიშსა და დაძაბულობაში? მოკლედ, ასეთი ბედი მაქვს პირველ ჯგუფში.

**— თქვენ ისეთ დროს თამაშობდით „დინამოში", როდესაც გუნდი წარმატებებს აღწევდა. ამის შემდეგ, ვფიქრობ, ძნელია შეეგუო იმ გუნდში მუშაობას, რომელიც მხოლოდ ლიგაში დარჩენაზე ფიქრობს...**

— რა თქმა უნდა, ძნელია. წარმოიდგინეთ, ფეხბურთელობისას ახალი საფეხურების დაპყრობაზე ვოცნებობდი, მერე კი უცებ ვხვდები გუნდში, სადაც თავიდან მიწევს მუშაობის დაწყება. ბევრი ღამე გამითენებია თეთრად. მწვრთნელის ბედი ასეთია. გუნდს სწორედ მწვრთნელი ქმნის — მისი წვლილი გუნდის წარმატებაში უდიდესია. მაგალითად ნოდარ ახალკაცი მყავს. ეს კაცი ძალიან შორს იხედებოდა, მარტო დღევანდელზე არ ფიქრობდა. ა[illegible] შედეგმაც არ დააყოვნა. თვითონაც ღამეებს ათევდა და ჩვენც [illegible] საქმეს უგულოდ მოვეკიდებოდით. მაშინ უკეთესი პირობებიც [illegible]რად სათამაშო ბურთის [illegible].

**— მაინც რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს ისეთი გუნდის არსებობას, რომელსაც ბურთი და ფორმა არა აქვს? აქ ხომ შეუძლებელია ფეხბურთელის დაოსტატება. ნუთუ მთავარი მართლა მონაწილეობაა?**

— მაშინ ჩემპიონატში ხუთი-ექვსი გუნდილა დარჩება. გუნდების უმრავლესობას უაღრესად უჭირს. აი, ახლაც, თქვენ რომ მოხვედით, შუქი ჩაქრა. ჩამოვყაროთ ყურები? რა ვქნათ, გუნდები დავშალოთ? ამით, არა მგონია, ფეხბურთს ეშველოს.

**— ისევ „სიონს" დავუბრუნდეთ. თავდასხმაში თითქმის სულ ვეტერანები თამაშობენ. 35 წლის ჯონი ჯაგიდისი გუნდის ბომბარდირიც არის.**

— ჯაგიდისი ნიჭიერი კაცია. სამწუხაროდ, მას დიდი ჩავარდნები აქვს, რაც რეჟიმის დარღვევის ბრალია. შარშან იგი მეორე ჯგუფში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. წელს კი, როცა მზადაა, მისი შეჩერება ყველას უჭირს, მაგრამ ფეხბურთს პროფესიონალები თამაშობენ. არ შეიძლება, გიყვარდეს ფეხბურთი და არ გიყვარდეს ვარჯიში.

**— ბევრი გუნდი ისეთ დღეშია, ხშირად ვარჯიშსაც ვერ ახერხებს.**

— მართალს ბრძანებთ. მაგრამ ჩვენ სისტემატურად ვვარჯიშობთ, მიუხედავად იმისა, გვიჭირს თუ გვილხინს.

**— ბოლო ტურებში თითქოს ურიგოდ არ გითამაშიათ...**

— მეათე ტურიდან ვითარება ოდნავ გამოსწორდა. ამ დროს რაიონის ხელმძღვანელობამ მოხედა გუნდს და ეს შედეგსაც დაეტყო.

**— ფინანსურად გაჭირვებული გუნდების მწვრთნელებისგან ხშირად მსმენია — მსაჯები არ გვწყალობენო — ქვეტექსტი გასაგებია.**

— შეიძლება, არ გამოვრიცხავ. ჯერ, პირველი წრის მიხედვით, მსაჯობით კმაყოფილი ვარ. თანაც წინსვლა არის. უფრო მეტია ობიექტურობა, სიმკაცრე მოთამაშეთა მიმართ და ის მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქულა სწორედ მსაჯთა შეცდომების გამო დაგვაკლდა. მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ ისინი განზრახ შეცდნენ.

**— წელს თქვენზე რომელმა გუნდმა დატოვა უკეთესი შთაბეჭდილება?**

— ზესტაფონის „მარგვეთმა".

**— თბილისის „დინამოზე" უკეთესი?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა. გეტყვით, უმთავრესი რა დავინახე „მარგვეთში" - ძლიერი, ჩამოყალიბებული გუნდია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ასე ითამაშეს.

**— ცოტა ძნელ საქმეს კი გთხოვთ, მაგრამ იქნებ შეადაროთ თქვენი დროის „დინამოს" დონე დღევანდელი ჩვენი ლიდერების დონეს...**

— არ მინდა, ვინმეს გული დავწყვიტო, თანაც ძნელია ასეთი შედარება, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი — დღევანდელ ვარსკვლავებს გაუჭირდებოდათ მაშინდელ „დინამოში" მოხვედრა. ეს ჩემი აზრია და ნურავის ეწყინება. საერთოდ, ყველა ადამიანი თავის დროს აქებს, მაგრამ, მე მგონი, მართალი ვარ. მე ვერ შევადარებ დღევანდელთა დონეს ჩივაძისას, შენგელიასას, ყიფიანისას. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ასე ვფიქრობ.

**— დონეთა შორის სხვაობის მიზეზად რას მიიჩნევთ და გამოსავალს რაში ხედავთ?**

— პირველ რიგში, ჩვენს დროს გუნდში კონკურენცია იყო და ძლიერ მეტოქეებსაც ხშირად ვხვდებოდით. ასეთ შეხვედრებში კი საკუთარ ნაკლს უკეთ ხედავ. საქართველოს ჩემპიონატში კი ყველას დაგეგმილი აქვს ქულები. ვთქვათ, წარმოუდგენელია, „დინამომ" „დურუჯთან" წააგოს. მაშინ რაღაც სასწაული უნდა მოხდეს. როდესაც არ იქნება ეს წინასწარ დაგეგმილი ქულები, მაშინ ამაღლდება თამაშის კლასი და გუნდების დონე.

**— დისკუსიაში — რამდენგუნდიანი უნდა იყოს საქართველოს ჩემპიონატი — ახალი სიტყვა თქვა დავით ყიფიანმა. იგი ფლეიოფის სისტემას ამჯობინებს. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ვეთანხმები ამ აზრს. ჩემპიონატი, ამ სისტემის წყალობით უფრო საინტერესო იქნება.

მერაბ მამულაშვილი

**სიონი ბოლნისი**

1. სამტრედია 0:5 (0:1) სტუმრად
2. კოლხეთი 0:2 (0:0) შინ
3. ბათუმი 0:3 (0:1) სტუმრად
4. ზუგდიდი 5:2 (2:2) შინ
5. ტორპედო 0:3 (0:1) სტუმრად
6. მეტალურგი 0:2 (0:1) შინ
7. დილა 0:3 (0:1) სტუმრად
8. მარგვეთი 1:3 (1:1) შინ
9. შევარდენი 1:2 (0:0) სტუმრად
10. ივერია 2:0 (1:0) შინ
11. [illegible] 0:1 (0:1) სტუმრად
   გურია 3:0 (1:0) შინ
13. დურუჯი 3:1 (2:0) სტუმრად
14. ეგრისი 0:3 (0:1) სტუმრად
15. დინამო 0:1 (0:1) შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 15 | 4 | 0 | 11 | 15-31 | 12 |
| შინ | 7 | 3 | 0 | 4 | 11-10 | 9 |
| სტუმრად | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 |




**პირველ წრეში თამაშობდნენ**

| | თამაში | გოლი | გაფრთხ. |
|---|---|---|---|
| მეკარეები | | | |
| ნუგზარ დალაქიშვილი | 10 | -25 | - |
| ნოდარ სიდამონიძე | 5 | -3 | - |
| გაგი ცოტაძე | 2 | -3 | 1 |
| მცველები | | | |
| გიორგი ყიფშიძე | 14 | - | 2 |
| არჩილ შაკიაშვილი | 14 | 1 | 1 |
| დავით რუხაძე | 13 | 1 | 1 |
| ავთანდილ გაბრიჭიძე | 11 | - | 2 |
| იუზა მეფარიშვილი | 11 | - | 1 |
| გიორგი ვაშაკიძე | 7 | - | 1 |
| მალხაზ ბურდული | 2 | - | - |
| ზვიად პაპიძე | 2 | - | - |
| ნახევარმცველები | | | |
| ბახვა მოსეშვილი | 14 | - | - |
| მურმან გოგოლაძე | 13 | 3 | - |
| გოჩა ტოროშელიძე | 13 | - | - |
| ვახტანგ სამხარაძე | 10 | - | - |
| კონსტანტინე მეტრეველი | 7 | - | - |
| თავდამსხმელები | | | |
| გიორგი ანდღულაძე | 15 | 3 | - |
| თეიმურაზ ფაიქიძე | 14 | 2 | 1 |
| ელგუჯა ჯაფარიძე | 12 | 1 | 3 |
| ჯონი ჯაგიდისი | 10 | 4 | - |

როსლერი და ქინქლაძე



# ქინქლაძის მორიგი შოუ

შუა კვირაში ასოციაციის თასის მესამე წრის (სულ შვიდი ეტაპია) გადათამაშებები შედგა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი ჩვენთვის ერთობ სასიხარულოდ დამთავრდა: „მანჩესტერ სიტიმ" 5:0 მოუგო პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერ „ლესტერ სიტის".

„ქინქლაძის შოუ" — ასე დაასათაურა „თაიმზმა" ამ მატჩის რეცენზია. მართლაც, გიის თამაში შეუდარებელი იყო: გოლი და ოთხი (!) საგოლე პასია ქართველის აქტივში. ქინქლაძის ფინტებს პრემიერდივიზიონელი მოთამაშეები ძლივს შეეგუენ, „ლესტერის" მცველები კი რას გახდებოდნენ და [illegible]

მეათე წუთზე მარჯვნიდან გიომ საჯარიმო ჩააწოდა და გერმანელმა როსლერმა გახსნა ანგარიში, რვა წუთში კი თავად ქართველმა შეაგდო, მაგრამ როგორი! ბურთი საკუთარ საჯარიმოსთან მიიღო, სამერბისთან კედელი გაითამაშა, მერე სამი შემხვედრი სახტად დატოვა, ისე ჩაუქროლა და მეტოქის საჯარიმომდე მისულმა უძლიერესად დაარტყა — ბურთი დაბალ კუთხეში შევარდა. „ლესტერის" განადგურება 51-ე წუთზე განახლდა, როცა ქინქლაძის დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ ირლანდიელმა ქუინმა დაამატა. კიდევ ოთხ წუთში გიომ ლომასს გაატანინა. ამის მერე ალან ბოლმა ქუინი და ფლითქროფთი კი დაასვენა, მაგრამ „ქინქის" მაინც არ მოუსვენია — ახლადშემოსული ქრინი არ დაგვირჩეს უგოლოდ და დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მარცხენა ფრთაზე ფინტების მორიგი კასკადისა და სამი მცველის მოტყუების მერე ამასაც საგოლე პასი გაუკეთა: მოკლედ, ეს თამაში ჩვენი ლეგიონერის ბენეფისად იქცა და ამას არც ის აკნინებს, რომ მოგება დაბალლიგელთან იქნა მოპოვებული. იმავე დღეებში პრემიერლიგის ორმა გუნდმა — „ბლექბერნმა" და „არსენალმა" მარცხი სწორედ რანგით ქვემოთ მდგარ გუნდებთან იწვნიეს, თუმცა ამაზე ქვემოთ, აქ კი „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობას გაეცანით: იმელი, ლომასი, ქერლი, საიმონსი, ფლითქროფთი (ეკელუნდი 71), სამერბი, ქინქლაძე, ქუინი (ქრინი 75), ბრაუნი, ინგრემი, როსლერი.

სამშაბათს ჩემპიონმა „ბლექბერნმა" მორიგი სირცხვილი ჭამა: შინ ვერაფერი მოუხერხა „იფსვიჩ თაუნს", დამატებითი დროის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი სტუმარმა მეისონმა ფლაუერსის კარში მეოთხე წრეში გამყვანი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, პრემიერელთა პრესტიჟი დაიცვა „მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელმაც ერთი კვირის წინ შინ ვერ მოუგო „სანდერლენდს" (2:2) და თუმცა ამჯერადაც გაუჭირდა, ბოლო წუთზე ენდი ქოულის მიერ გატანილი გოლის წყალობით მოიგო. აქამდე მასპინძელ გრეის 24-ე წუთზე და სტუმარ სქოულზს 70-ეზე თითო ბურთი უკვე გატანილი ჰქონდათ. „მანჩესტერ იუნაიტედი": შმაიხელი, პარკერი (შარპი 46), ირვინი, ბრუსი, გ. ნევილი, პ. ნევილი, კანტონა, ქოული, ბატი (სქოულზი 62), კინი, გიგზი. იმავე დღეს „ოქსფორდ იუნაიტედმა" 1:0 მოუგო კულკოვისა და იურანის ახალ კლუბ „მილუოლს", თუმცა რუსებს არ უთამაშიათ, „პორტ ვეილმა" დამატებით დროში „კრისტალ პალასი" 4:3 დაამარცხა, „შრევსბერიმ" კი 2:1 სძლია „ფულემი".

ოთხშაბათს კი, იმ დროს, როცა ქინქლაძე სასწაულებს სჩადიოდა, საცოდავად გამოიყურებოდნენ ბერხკამპი და მისი მეგობრები „არსენალიდან". „შეფილდ იუნაიტედთან" გასვლით მატჩში ისინი დამარცხდნენ 0:1 და 22 ათასი მაყურებლის გასახარად თასისკენ გზა ქვედალიგელებს დაუთმეს. „არსენალი": სიმენი, დიქსონი (ლინიგენი 60), ადამსი, კიოუნი, მაკგოვანი, იენსენი (კლარკი 84), მერსონი, ჰელდერი, პლატი, ბერხკამპი, რაიტი. მხოლოდ ბოლო წუთზე გადაურჩა პროვინციულ „სთოქპორთთან" დამატებით დროის თამაშს „ევერტონი", რომელიც 2:1-ს კი იგებდა, მაგრამ ბოლოსწინა წუთზე მასპინძელმა არმსტრონგმა გააყაიმა. ცენტრიდან დაწყება და ლივერპულელი ებრელის გოლი ერთი იყო — 2:3. გაჭირვებით მოიგო „უიმბლდონმაც", ვინც „უოტფორდს" მასპინძლობდა. აქ თავი შემცვლელად შემოსულმა კლარკმა გამოიჩინა: 75-ე წუთზე თამაშში ჩაება და 78-ეზე მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. „ნოტინგემ ფორესტმა" კემპბელის (16) და პირსის (54) პენალტით მოუგო „სტოქ სიტის". „მანჩესტერ სიტის" დარად აიშვა „ტოტენჰემმაც": არმსტრონგმა ორი გოლი შეაგდო (30, 59), შერინგემმა კი სამი (23, 55, 81). „ჰერეფორდის" თავდამსხმელმა სთოუქერმა პრესტიჟის გოლი გაახერხა — 5:1. გუშინწინვე ერთ დროს სახელგანთქმულმა, ახლა კი პირველლიგელმა „ვულვერჰემპტონმა" ასევე განთქმულყოფილი „ბირმინგემ სიტი" 2:1 სძლია.

უმთავრესი კი ორი პრემიერლიგელის — „ნიუკასლისა" და „ჩელსის" თამაში იყო. აქაც ბოლო წუთებში შეტრიალდა გუნდების ბედი, თუმცა საინტერესო მანამდეც ბევრი იყო. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს ჩემპიონატის ლიდერის ბელგიელმა მცველმა ალბერმა გახსნა. მეორე ტაიმის მე-16 წუთზე მხაჯმა ნიუკასლელი პიკოკი გააძევა, სტუმარმა ვაიზმა კი პენალტი გამოიყენა, მაგრამ ამას არ ჩამორჩა ბერდსლი, იგივე გაიმეორა და თავისიანები კვლავ დააწინაურა. შეხვედრის ბოლოს გულიტის ჯერიც დადგა — ჰოლანდიელმა ულამაზესი გოლი გაიტანა და დამატებითი დროც გაჩარხა. აქ არაფერი მომხდარა, პენალტებში კი „ჩესლიმ" იშარჯვა 4:2. „ნიუკასლი": სრნიჩეკი, ბარტონი, ბერესფორდი, პიკოკი, ალბერი, კლარკი, უოტსონი, ბერდსლი, კიტსონი (ელიოტი 85), ჟინოლა, ფერდინანდი (ჰაკრბი 64); „ჩელსი": ჰიჩკოკი, პეტრესკუ, დაბერი, ფილანი, ნიუტონი, გულიტი, სპენსერი, ლი, მაიერსი (კლარკი 52), ვაიზი, ჰიუზი (ფარლონგი 113).

# ინგლისი ემზადება

ჩვენს მომავალ მეტოქეს, ინგლისის ნაკრებს ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის არ სცხელა. ინგლისი ზაფხულზე ევროპის პირველობას მასპინძლობს და მიზნად ამ შეჯიბრებაში გამარჯვება აქვს დასახული. შესაბამისად, ალბიონელებს გონება სწორედ ევროპის პირველობისთვის მზადებით აქვთ დაკავებული. ამასთან, როგორც ცნობილია, ნაკრების მთავარი წვრთნელი ტერი ვენეიბლზი ზაფხულის მერე გადადგომას აპირებს, ასე რომ, სექტემბრიდან, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თამაშები დაიწყება, ინგლისელები სრულიად ახალ ცხოვრებას დაიწყებენ. მანამდე კი ვენეიბლზი დღევანდელ პრობლემებს აგვარებს. მან ნაკრებში კვლავ გამოიძახა პოლ ინსი, რომელიც ბოლოს გასული წლის მარტში ჰყავდა მიწვეული. მწვრთნელის თქმით, ინსი, პოლ გასკოინთან ერთად გუნდის ნახევარდაცვას ერთიორად გააძლიერებს. მილანის „ინტერში" თამაშს ფერადკანიან ინგლისელზე კარგად უმოქმედია და ახლა მას ინგლისის ნაკრების წამყვანი ნახევარმცველისთვის საჭირო ყველა თვისება შეუძენია თუ ალუდგენია. რაკილა სიტყვა „ინტერზე" და ინგლისელებზე ჩამოვარდა, იმასაც მოგახსენებთ, რომ მილანის გუნდს თეთრკანიანი ინგლისელის, „ბლექბერნის" ალან შირერის შეძენაც სურდა, მაგრამ შირერმა უარი შეუთვალა. „ჩემთვის დიდი პატივია ეს წინადადება, მაგრამ „ბლექბერნის" დატოვებას არ ვაპირებ. ჩემს გუნდთან უკვე მოვაწერე ხელი ახალ სამწლიან კონტრაქტს" — თქვა თავდამსხმელმა.

ამასობაში ვენეიბლზმა დაასახელა იმ 25 მოთამაშის ვინაობა, ბიშემ ებიში შეკრებაზე რომ გამოიძახა. მეკარეები დევიდ სიმენი (არსენალი), იან უოკერი (ტოტენჰემი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი); მცველები: გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), რობ ჯონსი (ლივერპული), ტონი ადამსი (არსენალი), სტივ ჰოუი (ნიუკასლი), ჰარი საუთგეიტი, უგო ჰიოგუ, ალან რაიტი (სამივე — ასტონ ვილა), სტიუარტ პირსი (ნოტინგემ ფორესტი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი); ნახევარმცველები: პოლ გასკოინი (გლაზგო რეინჯერსი), დევიდ პლატი (არსენალი), რობერტ ლი (ნიუკასლი), პოლ ინსი (ინტერი), სტივ სტოუნი (ნოტინგემ ფორესტი), ტრევორ სინკლერი (ქპრ), სტივ მაკმანამანი (ლივერპული), დენის უაიზი (ჩელსი); თავდამსხმელები: ლეს ფერდინანდი, პიტერ ბერდსლი (ორივე — ნიუკასლი), ნიკ ბარმბი (მიდლსბრო), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), ალან შირერი (ბლექბერნი).

## საფრანგეთი

გამოტოვებული მატჩი: ნიცა — ნანტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 23 | 13 | 8 | 2 | 45:18 | 47 |
| ლანსი | 23 | 10 | 11 | 2 | 26:14 | 41 |
| მეცი | 23 | 11 | 8 | 4 | 22:15 | 41 |
| ოსერი | 23 | 12 | 3 | 8 | 39:23 | 39 |
| მონაკო | 23 | 10 | 6 | 7 | 35:27 | 36 |
| ნანტი | 23 | 9 | 9 | 5 | 26:23 | 36 |
| ბასტია | 23 | 10 | 5 | 8 | 33:29 | 35 |
| სტრასბური | 23 | 8 | 9 | 6 | 31:22 | 33 |
| გინგამი | 23 | 8 | 9 | 6 | 17:17 | 33 |
| რენი | 23 | 8 | 8 | 7 | 25:26 | 32 |
| მონპელიე | 23 | 8 | 7 | 8 | 30:29 | 31 |
| ნიცა | 23 | 9 | 4 | 10 | 26:26 | 31 |
| ლე ავრი | 23 | 7 | 6 | 10 | 20:30 | 27 |
| ლიონი | 23 | 5 | 11 | 7 | 23:26 | 26 |
| სენტ ეტიენი | 23 | 5 | 10 | 8 | 27:35 | 25 |
| ბორდო | 23 | 7 | 4 | 12 | 24:32 | 25 |
| კანი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:36 | 23 |
| ლილი | 23 | 4 | 8 | 11 | 16:31 | 20 |
| გენიონი | 23 | 3 | 10 | 10 | 15:29 | 19 |
| მარტიგი | 23 | 5 | 3 | 15 | 18:36 | 18 |

# როდის წაგებს ბაფანა ბაფანა?

აფრიკის ჩემპიონატი წინ მიიწევს. „ა" ჯგუფში, სადაც მასპინძელი სამხრეთ აფრიკა ასპარეზობს, ეგვიპტე ანგოლას შეხვდა და გაიმარჯვა 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი ქაიროს „ზამალეკის" მოთამაშემ აჰმედ ელ კასმა გაიტანა.

„ბ" ჯგუფში სიერა ლეონემ ბურკინა ფასოს ასეთივე ანგარიშით მოუგო. თავიდან ბურკინა ფასო იგებდა. ასე გაგრძელდა 70-ე წუთამდე, როდესაც ანგარიში გათანაბრდა. შემდეგ ისევ ბურკინა-ფასოელებს შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ბოლო წუთზე კი 16 წლის, 3 თვის და 9 დღის სიერალეონელმა მუჰამედ კალონმა, რომელიც ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია და თავისი ასაკის გამო „სარბიელში" ადრეც გვიხსენებია, გამარჯვების გოლი გაიტანა.

„გ" ჯგუფშიც 2:1 დამთავრდა თამაში. ლიბერიამ გაბონს სძლია. მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ შეხვედრაში მიპყრობილი იყო ჟორჟ ვეასკენ, რომელიც უმეტეს ხანს ბატონკაცივით იდგა სადღაც მოედნის ცენტრთან. ერთი-ორჯერ გაქცევაც იკადრა, მაგრამ უპირატესად იმას აკეთებდა, რომ თავის ბიძაშვილს, ნანტელ ჯეიმს დებას გადაუგდებდა ბურთს და არბენინებდა. ისე, დებაც კაი სწრაფი და ჯანიანი ბიჭი ყოფილა. საერთოდ თამაში კი უინტერესო იყო. ფეხბურთელები საჯარიმოს მისადგომებამდე ერთმანეთს არ ეკარებოდნენ, იქ კი ყოველგვარი ტექნიკისა და ტაქტიკის გარეშე წიხლებს ურტყამდნენ ერთმანეთს. ანგარიში მე-5 წუთზე პენალტით გახსნეს ლიბერიელებმა, მეორე ტაიმში სხვაც მიაყოლეს, მაგრამ ერთი ლაზათიანი ჯარიმა გაუშვეს გაბონელების დარტყმული და ასე დაამთავრეს.

„დ" ჯგუფში მოზამბიკმა და ტუნისმა 2:1 არ ითამაშეს. მათი შეხვედრა 1:1 დამთავრდა. მე-5 წუთზე მოზამბიკი დაწინაურდა, მაგრამ 55-ზე ჰაიდი ბენ რეკიტამ თანაბრით გაქვითა.

კიდევ ერთი საინტერესო: შეჯიბრების მასპინძლებს, სამხრეთ აფრიკელებს მათ ქვეყანაში უპოპულარულეს სამ სახეობაში ფეხბურთისა, რაგბისა და კრიკეტში 1995 წელს არ წაუგიათ.

## პორტუგალია

მე-18 ტური. ტური. სალგეირუში — [illegible] 4:2; ტირსენსე — ფარენსე 2:1, გიმარაეში — კამპომაიორენსე 4:0; ეშტრელა — ბრაგა 4:2; სპორტინგი — პორტუ 0:2; უილ ვისენტე — ლეცა 0:0; შავეში — ფელგეირაში 1:0; მარიტიმუ — უნიაუ 1:0; ბელენენსეში — ბოავიშტა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 15 | 3 | 0 | 48:3 | 48 |
| სპორტინგი | 18 | 12 | 4 | 2 | 40:14 | 40 |
| ბოავიშტა | 18 | 11 | 4 | 3 | 33:14 | 37 |
| ბენფიკა | 18 | 11 | 4 | 3 | 30:18 | 37 |
| მარიტიმუ | 18 | 9 | 3 | 6 | 28:21 | 30 |
| ბელენენსეში | 18 | 7 | 5 | 6 | 25:17 | 26 |
| სალგეირუში | 18 | 5 | 11 | 2 | 21:18 | 26 |
| გიმარაეში | 18 | 7 | 4 | 7 | 23:20 | 25 |
| ბრაგა | 18 | 6 | 5 | 7 | 21:25 | 23 |
| ფელგეირაში | 18 | 5 | 7 | 6 | 20:20 | 22 |
| ეშტრელა | 18 | 5 | 6 | 7 | 19:28 | 21 |
| უნიაუ | 18 | 6 | 2 | 10 | 18:34 | 20 |
| უილ ვისენტე | 18 | 4 | 6 | 8 | 16:25 | 18 |
| ლეცა | 18 | 4 | 4 | 10 | 13:28 | 16 |
| შავეში | 18 | 3 | 6 | 9 | 20:30 | 15 |
| ტირსენსე | 18 | 3 | 6 | 9 | 14:32 | 15 |
| ფარენსე | 18 | 4 | 2 | 12 | 13:25 | 14 |
| კამპომაიორ. | 18 | 3 | 2 | 13 | 12:42 | 11 |



ესტონეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს ისლანდიელი დეიტურ ტორდარსონი. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა რომან უბაკივი. ტორდარსონი იმავდროულად ესტონეთის ჩემპიონს, ტალინის „ფლორას" ჩაუდგება სათავეში. ესტონელთა ახალი მწვრთნელი ამ ოცი წლის წინ ისლანდიაში ცნობილი ფეხბურთელი გახლდათ, თამაშობდა „აკრანესში", შვედურ „იენჩეპინგში" და „ესტერში", საფრანგეთის „ლანსში" და „კანში". თავისი ქვეყნის ნაკრებში უთამაშია, 44 მატჩი. მწვრთნელად ტორდარსონი მუშაობდა შვედეთსა და ნორვეგიაში: „ბრანში", „ლიუნში" და „ლილესტრიომში".

საფრანგეთის ნაკრებისა და „მონაკოს" მეკარე ფაბიენ ბარტესი, რომელიც ტაპისდროინდელი „მარსელის" კარსაც იცავდა, მარიხუანას წევაზე გამოიჭირეს და 2-თვიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს. მეკარეს დიდი პროტესტი არ გამოუთქვამს, რადგან დისკვალიფიკაციის ასეთი ვადა მას ევროპის ჩემპიონატს ვერ გამოაკლებს. ბარტესის ადვოკატმა ჟან-ჟაკ ბერტრანმა განაცხადა, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ფაბიენი სასჯელს არ იმსახურებდა და უსამართლოდ მოეპყრნენო.

ნიგერიის ნაკრები, მოგეხსენებათ, აფრიკის ჩემპიონატს ჩამოაცილეს. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, აქ ამ ქვეყნის ბედს ფიფა გადაწყვეტს და, როგორც ჩანს, აფრიკელთა სასარგებლოდ. ასეთი დასკვნის საბაბს ის გვაძლევს, რომ ნიგერიას მხარი დაუჭირა თავად ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა, რომლის თქმით, ამ გუნდის მსოფლიოს პირველობაზეც დისკვალიფიკაციის გამოცხადება უსინდისობა იქნება, რადგან ნიგერია პოლიტიკის გამო დაისაჯაო.

ფიფამ და უეფამ ციურიხში ბოსმანის საქმის შესახებ ითათბირეს. კონფიდენციალურმა საუბარმა 7 საათზე მეტი გასტანა. ჯერჯერობით დეტალები ცნობილი არაა, მაგრამ ცხადია, რომ ეს ავტორიტეტული ორგანიზაციები ევროსასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპირო ღონისძიებებს დაგეგმავდნენ.

პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად 24 იანვარს პარიზში ამხანაგურ თამაშს გეგმავს. ნაკრების მწვრთნელმა ანტონიუ ოლივეირამ ფრანგებთან სათამაშოდ გამოიძახა 20 ფეხბურთელი, რომელთა შორის არ არიან წამყვანი მოთამაშეები, მეკარე ვიტორ ბაია, დომინგუში, პაულუ სოუზა და ფიგუ. მწვრთნელის თქმით, ამათ შემოწმება არ სჭირდებათ და ეს თამაში მათთვის მხოლოდ ზედმეტი დაღლა იქნებოდა. სამაგიეროდ, ოლივეირა აპირებს ნაკრებში თამაშს მიაჩვიოს 18 წლის ნახევარმცველი, ბენფიკელი ედგარ პაშეკუ. რაც შეეხება ამ ქვეყნის ჩემპიონატს, აქ სასეირო რამ მოხდა: 30 დეკემბერს „შავეშისა" და ლისაბონის „სპორტინგის" თამაში (1:1), დამთავრებამდე 2 წუთით და 15 წამით ადრე შეწყდა. მიზეზი სტადიონზე განათების გამორთვა (ოჰ, ეს პორტუგენერგო!) გახლდათ. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ თამაშის დასრულება ბრძანა. საამისოდ ლისაბონის გუნდი ხელახლა აიყარა გზად, 450 კილომეტრით დაშორებულ ქალაქს კვლავ ჩავიდა... 135 წამის სათამაშოდ. ამ ორწუთიან მატჩს დაესწრო 6 ათასი (!) გულშემატკივარი. გოლი არ გასულა.

ინგლისის ლივერპულის მერიამ გასახარევი რამ მოიგონა. ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა... „ლივერპულს" და „ევერტონს". გუნდებს საზეიმოდ პირველ თებერვალს დააჯილდოებენ.

ლიბანის ნაკრებმა ბეირუთში კვიპროსის ნაკრებს უმასპინძლა და ბოლო წუთზე ვართან ლაზარიანის გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა.


# საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №14 (20-22 იანვარი)

1. მილანი - პადოვა — იტალიის ჩემპიონატი
2. კრემონეზე - იუვენტუსი — იტალიის ჩემპიონატი
3. პარმა - ატალანტა — იტალიის ჩემპიონატი
4. ნაპოლი - ბარი — იტალიის ჩემპიონატი
5. ხოსიედადი - ატლეტიკო — იტალიის ჩემპიონატი
6. ბარსელონა - ვალიადოლიდი — იტალიის ჩემპიონატი
7. რეალი - რაიო ვალეკანო — იტალიის ჩემპიონატი

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 20 იანვარს. 16.00 -ზე

მე-13 ტირაჟის შედეგები

1. 2-2 2.0-2 3.0-1 4. 2-2 5.4-0 6.1-1 7.5-1

მოგებები: ხუთი, ექვსი, ვიდი მატჩი - ვერავინ გამოიცნო. სრული JACK POT. შესაბამისად 210, 1230 და 1560 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან: დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00 — 14.00). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟის ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი", „7 დღე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# აგასი გავარდნას გადაურჩა, პირსი — ვერა

„დიდი სლემის“ ნებისმიერი შეჯიბრის პირველ კვირაში, როცა თამაშები მრავლად იმართება, იმას შენიშნავენ საგანგებოდ, თუკი ვინმე ახალბედა განთესილ ბობოლას გააგდებს ანაც ერთობ გაუძალიანდება. ორშაბათს მელბურნის „ფლინდერს პარკში“ დაწყებულმა ავსტრალიის ღია პირველობამ მედიას უკვე საკმაო საკბილო მისცა: ვაჟთა შარშანდელი ჩემპიონი კინალამ, ქალთა გამარჯვებული კი — ნაღდად გავარდა.

„კინალამო“ ანდრე აგასიზე ვთქვით. ამ უკოლორიტულეს პიროვნებას მკერდის კუნთი კი მოშუშებოდა, მაგრამ კიბეზე დასცდენოდა ფეხი და მარჯვენა მუხლი ისე დაეკრა საფეხურებისათვის, რომ ერთიანად წებოვანი სალბუნებით დაეფარა. თავვადახოტრილი ანდრე ეგრე კოჭლობით გავიდა 21 წლის ბუენოს-აირესელ გასტონ ეტლისთან სათამაშოდ. გაჩაღდა საარაკო თამაში, ალინუსხა 28 ეისი. არგენტინელმა მოიგო პირველი ხელი, მეორეშიც 4:1 დაწინაურდა, მაგრამ აგასი გონს მოეგო და ხელის თაი-ბრეიქზე მოგებით ანგარიში გაათანაბრა. მერე იგივე განმეორდა: ეტლისმა გაიმარჯვა მესამე ხელში და მეოთხეშიც 5:2 წინ გაიჭრა, მაგრამ ამერიკელმა სომეხმა ისევ თაი-ბრეიქამდე მიიყვანა საქმე და ხელი მოიგო, მეხუთე სეტში კი მეტოქეს ერთი მოწოდება „შეაწერა“. სამსაათიანი მატჩი აგასიმ 3:6, 7:6, 4:6, 7:6, 6:3 მოიგო. იმავე დღეს, ანუ ორშაბათს კიდევ ერთ განთესილს — სამხრეთაფრიკელ ვეინ ფერერას (9) მოუხდა მეხუთე ხელის თამაში, როცა ბოლოსდაბოლოს აჯობა ჯონათან სთარქს 7:5. ალინუსხა პირველი მობობოლაო მსხვერპლიც — ბელორუსი ნატაშა ზვერევა (12), ვისაც 6:2, 4:6, 7:5 აჯობა ნორჩმა ებრაელმა ანა სმაშნოვამ.

**სამშაბათს,** 16 იანვარს ორი მსხვერპლი ალინუსხა: ამერიკელი ქალიჲ ემი ფრეზერი (14) გააგდო ბარბარა შეტმა (ავსტრია), ჰოლანდიელი პაულ ჰაარჰიუსი (16) კი — ფილიპ დევულფმა (ბელგია). სამაგიეროდ გრანდებმა გაიჯეჯილეს. ამერიკელმა სამგზის ჩემპიონმა მონიკა სელეშმა 6:3, 6:0 დაამარცხა თანამემამულე ჯანეტ ლიი, თუმცაკი გამოტყდა, თეძო კიდევ მტკივაო. შარშანდელმა ჩემპიონმა მარი პირსმა (საფრანგეთი, 4) ავსტრიელ პეტრა შვორტს ოთხადოთხი გეიმი დაანება. მოიგეს კიმიკო დატემ (იაპონია, 5), ივა მაიოლიმ (ხორვატია, 7), ანკე ჰუბერმა (გერმანია, 8). ვაჟთა პირველმა ნომერმა პიტ სამპრასმა (აშშ) 7:5, 6:3, 6:2 მოუგო რიჩარდ ფრომბერგს (ავსტრალია), თიხაზე თამაშის დიდოსტატმა და 12 შარშანდელ შეჯიბრში გამარჯვებულმა თომას მუსტერმა (ავსტრია, 3) — ფრანგ ტიერი გვარდიოლოს 6:3, 6:3, 6:2. ტოდ მარტინმა (აშშ, 15) ოთხ ხელში აჯობა დანიელ ვაჩეკს (ჩეხეთი). ნავსი გატეხა 1991 წლის ჩემპიონმა ბორის ბეკერმა (გერმანია, 4), ვინაც ბოლო ოთხი სტარტიდან პირველად გაძვრა მეორე წრეში. ბეკერს ერკინებოდა ცაცია ბრიტანელი გრეგ რუზედსკი, ვისაც მთელს მსოფლიოში უძლიერესი მოწოდება აქვს. ბურთი კორტზე ხშირად 200 კმ-სთ სიჩქარით დაფრინავდა და 9 ათასი ქომაგიც ძველი ჩემპიონის ძნელ გამარჯვებას შეესწრო 6:4, 3:6, 4:6, 6:3, 6:3.

**მესამე დღეს,** 17 იანვარს „ფლინდერს პარკში“ უკანასკნელად ითამაშა შვედმა შტეფან ედბერგმა, ვინაც დღეს 30 წლისა შესრულდა, ავსტრალიის ღია პირველობა კი ორჯერ მოუგია და კიდევ სამჯერ ფინალში გასულა. ედბერგს ისე მოყირჭებია ჩოგბურთი, რომ წლის ბოლოს მისთვის თავის მინებებასაც აპირებს. ეს ხომ იცოდა ტურნირის დირექტორმა პოლ მაკნამიმ და ვეტერან ფრანგ ჟან-ფილიპ ფლურიანთან 4:6, 6:2, 6:4, 2:6, 3:6 წაგებული შტეფანი სახალხოდ აქო და აქო, 13 წელი ავსტრალიას ჩამოდიოდა და ალალი თამაშით გვახარებდაო.

გავარდა ორი განთესილი ვაჟი და კიდევ გადარეული ამერიკელი ჯეფ ტარანგო. ფერერას გაგანია მეორე ხელში თეძო ეტკინა და ფაქტობრივად დანებდა სლოვაკ კაროლ კუჩერას 1:6, 3:6, 0:6. ანდრეი მედვედევმა (უკრაინა, 14) საწყის ორ ხელში სულ ორი გეიმი წააგო, მაგრამ მერე ხუთ ხელში მაინც დამარცხდა პატ მაკინროუსთან (აშშ). ტარანგოსა და ჯიმ კურიეს (აშშ, 8) თამაშში მიამიტურ შეცდომათა ნიაღვარი წამოვიდა — სტატისტიკურმა სამსახურმა 145 დაითვალა. კურიემ 7:5, 6:7, 6:4, 6:3 გაიმარჯვა. სამაგიეროდ, აგასიმ და სელეშმა მეტისმეტად დამაჯერებლად მოიგეს. ანდრემ 6:4, 6:2, 6:3 დაამარცხა თანამემამულე ვინს სპეიდია, სელეშ კი კატეჟინა სტუდენიკოვამ (სლოვაკეთი) ორი გეიმი ძლივს მოუგო.

**აი, გუშინ კი** დიდი სენსაცია მოხდა: მარი პირსს 6:4, 6:4 მოუგო 20 წლის რუსმა, გვარად ალექსეევამ.



ბეკერმა ხუთხელიანი მარათონის შემდეგლა გაალწია მეორე წრეში

ირაკლი ნინუა

კრივი

# ოქრო-ვერცხლ-ბრინჯაო სუნდსვალიდან

გუშინწინ საქართველოს მოკრივეთა ნაკრები დაბრუნდა შვედეთიდან, სადაც მსოფლიოს 20 ქვეყნის მოკრივეები საერთაშორისო ტურნირზე იწვიეს. ჩვენები ხუთი მოკრივით წარდგნენ სუნდსვალის რინგზე. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როლანდ კვაჭაძემ გვაცნობა, 60 კგ წონაში კობა გოგოლაძეს სამი მეტოქე გაულახავს, ფინალშიც უჯობნია შვედისთვის, მაგრამ მსაჯებს მაინც მასპინძლისთვის გაუგორებიათ კოჭი. 91 კგ-ში კი ოთხი მოკრივე გამოდიოდა, გიორგი კანდელაკსაც ორი შეხვედრის ჩატარებამ მოუწია, ამათგან ფინალურისა შვედთან, მაგრამ იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდა, მსაჯებს ვერაფერი გაუწყვიათ და კანდელაკი ოქროთი დაგვიბრუნდა. 63,5 კგ წონაში ბესო ვარძელაშვილმა სამ მეტოქეს სძლია და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 67 კილოგრამიანებში იგივე გაიმეორა თენგიზ მესხაძემ. უმედლოდ მხოლოდ კოლუაშვილი დარჩა, რომელსაც პირველივე ორთაბრძოლამ ყაზახ იბრაგიმოვთან მოუწია. ამ ცაცია მოკრივემ პირველ რაუნდში დაჩაგრა ჩვენებური, კოლუაშვილი მეორე და მესამე რაუნდებში გააქტიურდა და აჯობა კიდეც, მაგრამ დანაკარგი ველარ აინაზღაურა. რუსეთის ნაკრები ამ შეჯიბრზე მეორე შემადგენლობით ჩასულა, რაკილა შვედეთში ოლიმპიადის ლიცენზიები არ თამაშდებოდა, ამიტომ ჩვენი ორი „გარუსებული“ მოკრივე სუნდსვალს არ სწვევია. რაც შეეხება კაკურიძეს, იგი კვლავ, საბოლოოდ და ოფიციალურად გახდა ჩვენი, მაგრამ გამგზავრების წინ შეყრილ გრიპს ისე დაუსუსტებია, მწვრთნელებმა შინ დარჩენა ურჩიეს.

ქართულ კრივსა და მის გასაჭირზე ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გესაუბრებით.

მამუკა კვარაცხელია



თოგაი ბაიათლი

# მწყემსი კეთილი

თბილისის „დინამოს“ დილმის ბაზასა და ეროვნულ სტადიონზე სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის სტუმრობამ სამ საათამდე გასტანა. პირადად ჩემთვის ეს დიდი გაკვეთილი იყო და ამის თქმისას, ღმერთი-რჯული, არაფერში ვაჭარბებ — თოგაი ბაიათლის საქციელი, კითხვა-პასუხი და მოქმედება სულაც არ იყო ოდენ სამწყსოს დასახედად ჩამოსული მოძღვრის ქცევა და დიპლომატიის, პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის და მეგობრობის ნათელი დადასტურება გახლდათ. აიპსის თავკაცი ჩვენი სტუმარი გახლდათ და ეს წერილი არც შეიძლება კლასიკურ ინტერვიუდ ჩაითვალოს, რადგან კითხვების ადრესატი უფრო მასპინძელი მხარე ვიყავით, მაგრამ, ვფიქრობ, ქვემოთ თქმული უინტერესო ნამდვილად არ იქნება.

„დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტთან რომან შოთაძესთან საუბრისას ბაიათლიმ თავად ჩამოაგდო სიტყვა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

— თქვენი გამამწარებელი ერმა თუროღლუ ხომ გახსოვთ? მე მივაღწიე იმას, რომ იგი აღარ მსაჯობს. არადა, თავის დროზე, როცა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში ვმუშაობდი, სწორედ მე ვურჩიე, მსაჯობა დაეწყო. ვეხმარებოდი კიდეც, მაგრამ გამყიდველი აღმოჩნდა. ვფიქრობ, რეკლამის გულისთვის გააკეთა ეს — შემომხედეთ, რა ნამუსიანი მსაჯი ვარო. ძალიან მწყინს, რომ კაცი, რომელსაც ამდენი სიკეთე გავუკეთე, საბოლოოდ თახსირი გამოდგა. პირში მივახალე — არაკაცი ხარ-მეთქი. ჩემი აზრით, ამაში გარკვეული წვლილი „ტრაბზონსპორიდანაც“ შეიტანეს — ტყუპი არველაძეები რომ ხელში ჩაეგდოთ.

შეიძლება პირფერობად ჩამომართვათ, საქართველოს სტუმრობს და იმიტომაა, ასე რომ გველაპარაკებაო, მაგრამ მე ასეთი კაცი ვარ. ჩემთვის მთავარი ფეიერ-პლეია!

**— თქვენი სპორტული წარსული მოგვახსენეთ...**

— ხუთი წელი პროფესიონალი ფეხბურთელი ვიყავი, „ისთანბულსპორში“ ვთამაშობდი. მერე სწავლა ვამჯობინე ფეხბურთს. ვმუშაობდი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში. ახლა თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანიც ვარ, გაზეთ „მილიეთში“ ჩემი სვეტი მაქვს, გარდა ამისა, თურქეთს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის „ფენერბახჩეს“ დირექტორატის წევრი ვარ.

**— მაშ, გასაგებია, ვისაც ქომაგობთ, მაგრამ ფეიერ-პლეი?**

— ვცდილობ, ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობაში „ფენერბახჩეს“ ნაკლები ადგილი ეკავოს. გულით, რა თქმა უნდა, ჩემპიონობას ვუსურვებ, მაგრამ ღირსეულ ბრძოლაში. „მილიეთის“ რედაქტორი მეხვეწება, ფეხბურთზე დაწერეო, რაკი თურქეთში საკმაოდ ცნობილი კაცი ვარ და ჩემს სიტყვას ფასი აქვს. მეტსაც გეტყვით, მე ვიყავი ინიციატორი იმისა, რომ თურქეთის უმაღლეს დივიზიონში გუნდების რიცხვი 16-დან 18-მდე გაეზარდათ. ამას კი მივაღწიე, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ შევმცდარვარ — რაც ნაკლებია გუნდების რიცხვი, უფრო მეტია დაძაბულობა და კლასი.

აი, თქვენ, საქართველოში, რად გინდათ 16 გუნდი უმაღლეს ლიგაში? განა 10-12 გუნდი, ავსტრიასავით, ოთხ წრედ უფრო უკეთესი არ იქნება, განა საფეხბურთო ანგარიშებია 11:0 ან 12:1?! რატომ არ ფიქრობს თქვენი ფედერაცია ამაზე?!

**— აიპს-ის პრეზიდენტის პოსტზე ახალი არჩეული ხართ. რის შეცვლას აპირებთ?**

— მინდა, რომ ჟურნალისტის პროფესიას ყველა აფასებდეს და ჩვენს კოლეგებსაც უცხოეთში მიმოსვლისა და ინფორმაციის მოპოვების მეტი საშუალება ჰქონდეთ. მივაღწიე იმას, რომ ამიერიდან დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ოლიმპიადა იქნება თუ მსოფლიოს ჩემპიონატი, ჟურნალისტი დღეში 40-50 დოლარით გავიდეს იოლად. ბარსელონაში დღე ჟურნალისტს 150 დოლარი უჯდებოდა. აიპსი სწორედ ის ორგანიზაციაა, რომლის ირგვლივაც უნდა გავერთიანდეთ საერთო მიზნის მისაღწევად. თურქეთში ამ მხრივ კარგადაა საქმე, თურქეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია აიპსზე მდიდარია, სტამბოლში დიდ აუზს და ორ რესტორანს ფლობს, ერთი ხუთასკაციანია, მეორე — ორასკაციანი. 1965 წლიდან ვაწყობთ სპორტულ ჟურნალისტთა თასის გათამაშებას, რომელშიც „ფენერბახჩე“, „გალათასარაი“ და „ბეშიქთაში“ გამოდიან. მთელი შემოსავლის 25 პროცენტი თურქეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას მიაქვს. ერთხელ „ფენერბახჩემ“ უარი განაცხადა, ამ თასზე არ ითამაშა. უცებ „შევიკარით“ თურქი ჟურნალისტები და მედიასადმის უპატივცემულობა „ფენერს“ ძვირად დავუსვით: დაიწყო ჩემპიონატი და არცერთმა ჟურნალისტმა არ ისურვა „ფენერის“ თამაშების გაშუქება, მარტო ოქმებს ვბეჭდავდით. ამან მაყურებელზე იმოქმედა, „ფენერს“ ხალხი აღარ დაუდიოდა თამაშებზე. რეკლამა აღარ ჰქონდა და ფული შემოაკლდა. მოკლედ, მოგვიცუცქდა „ფენერი“ და ხვეწნა დაგვიწყო. მივიღეთ...

აიპსში კი... უნგრეთმა უსაყიდლოდ დაგვითმო შტაბ-ბინა. ბუდაპეშტში ორი მდივანი ქალი გვყავს, ეგაა და ეგ. ფინანსურად გვეხმარებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, ფიფა, ფიბა, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია, ჩვენც მათთვის სარგო საქმეს ვაკეთებთ. შემოსავალი ჩვენი წევრი ჟურნალისტების საწევროებიდანაც შემოგვდის. ძალზე ცოტა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობის პირობები.

... შოთაძესთან საუბარში ბაიათლიმ მეტად საინტერესო იდეა წამოჭრა:

— ჩავატაროთ თბილისში ტურნირი „ფენერის“, „გალათასარაის“ და თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. გნებავთ, კიდევ ერთი ქართული გუნდი დავუმატოთ — ოთხთა ტურნირი გამოვა. ჩემს ავტორიტეტს გამოვიყენებ და, თურქულ გუნდებს ხომ ჩამოგიყვანთ, 3-4 ათას თურქ გულშემატკივარსაც თან გამოვაყოლებ. თურქეთის ტელეარხები ერთმანეთს დაასწრებენ ამ მატჩების ტრანსლირების ნებართვის მიღებას და გვარიანი ფული შემოგივათ. 200 ათას დოლარამდე შეიძლება იშოვოს სსფა-მ, „დინამოც“ კარგ ფულს მიიღებს...

... ბაიათლის იუმორის გრძნობაც მოჭარბებული ჰქონია:

— ჩემი სიძე „გალათასარაის“ დირექტორატში მუშაობს, შვილი კი ამათი თავგადაკლული გულშემატკივარია. „ფენერი“ ისე ეჯავრება, მისი თამაშის ყურებას ტელევიზორის გამოთიშვას ამჯობინებს. ახლახან დაქორწინდა, მითხრა, ჩემს ქორწილში დასაპატიჟებელ სტუმრებს „გალას“ წითელ-ყვითელი ფერებით გაწყობილ მოსაწვევებს დავურიგებო. არ დამღუპო, ვუთხარი, მაშინ ჩემი მეგობრები „ფენერიდან“ როგორღა მოვლენ ჩვენს ოჯახში-მეთქი.

... აიპსის პრეზიდენტი მართლაც ჩინებულად ერკვევა ფეხბურთში, მაგალითისთვის ჩვენთვის საინტერესო ერთ დეტალს მოვიყვან.

— „ტრაბზონსპორს“ ჯამარაულის აყვანა უნდოდა, მაგრამ ძალზე იაფად სურდათ მისი ხელში ჩაგდება. არადა, ერთი შეხედვითაც იოლი შესამჩნევია, რომ სწორედ ასეთი ყაიდის ფეხბურთელი აკლიათ. ახლა, თუ „ტრაბზონმა“ ჩემპიონობა დაკარგა, ამის გამო დაკარგავს. განა შეიძლება ასეთი კლასის ფეხბურთელში, თანაც მაშინ, როცა იმ რგოლში გიჭირს, ფული დაინანო?

„ფენერსაც“ უჭირს ნახევარდაცვასა და დაცვაში მაგრამ კარგად შეკრული გუნდია, ვფიქრობ, არ გაატანს „ტრაბზონს“ ჩემპიონობას.

**— არველაძეთა შესახებ ახალს ხომ არ გვეტყოდით?**

— კარგი ფეხბურთელების გარდა კარგი ადამიანებიც არიან. ორად-ორი ფეხბურთელია თურქეთში, ყველას რომ უყვარს.

**— როდის ვარაუდობთ ოთხთა ტურნირის თბილისში ჩატარებას?**

— თუ ყველაფერი კარგად იქნა, წელსვე, ივნისში, ევროპის ჩემპიონატამდე.

... ეროვნული სტადიონის დათვალიერებისას, ბაიათლიმ, პირველ ყოვლისა, პრესლოჟას მიაქცია ყურადღება:

— 1985 წელს მოსკოვში, იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავი. ლუჟნიკების პრესლოჟაში ვისხედით, წვიმამ რომ დასცხო. ყველა გაიქცა, მარტო მე და აველანჟე დავრჩით, ფეხი არ მოგვიცვლია. აველანჟემ მითხრა, ამის მერე სტადიონზე ფეხბურთს არ გავაჭაჭანებ, თუ გადახურული და კეთილმოწყობილი პრესლოჟა არ ექნებაო. რუსები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ჩალიჩობდნენ, მაგრამ, ვფიქრობ, აველანჟემ ამის გამოც დაიჭირა იტალიელთა მხარე. ამ რუსებს კი მართლა არაფერი ეშველათ — „სპარტაკ“-„გალათასარაიზე“ ვიყავი, სანამ საპრესკონფერენციო დარბაზს მივაღწიეთ, იქაურმა გალეშილმა გულშემატკივრებმა ბლომად გვითავაზეს სხვადასხვა ხარახურა. თუ გსურთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდეთ, ჯერ სტადიონი უნდა კეთილმოაწყოთ. ამ პრესლოჟით არაფერი გეშველებათ. მესმის, რომ ფული არა გაქვთ, მაგრამ მე უკვე მოგაწოდეთ იდეა, განახორციელოთ და ფულსაც იშოვით.

... თურქ სტუმარს მარიფათი და დახმარების ალმოჩენის სურვილი ყველაფერში ეტყობოდა, როგორც მასთან თარჯიმნად მიმაგრებულმა ჩემმა კოლეგამ მერაბ რატიშვილმა მითხრა, ბაიათლის უკვე შეუგულებია „ლილოსა“ და „ადიდასის“ ქარხნები, სწვევია და ამათი ხელმძღვანელობისათვის საქმიანი წინადადებებიც შეუთავაზებია.

... გუშინ ჟურნალისტთა სახლში ბაიათლიმ პრესკონფერენცია გამართა ქართველი ჟურნალისტებისათვის, კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე გვესაუბრა, თანაც ჟურნალისტთა გაცვლა-გამოცვლაში დახმარებას დაგვპირდა.

მამუკა კვარაცხელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი, 24-ე ტური.
20 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ევერტონი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ასტონ ვილა — ტოტენჰემი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ბლექბერნი — შეფილდი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ჩელსი — ნოტინგემი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ლივერპული — ლიდსი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მანჩესტერ სიტი — ქოვენთრი | 1,35 | 2,9 | 4,7 |
| ნიუკასლი — ბოლტონი | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| საუთჰემპტონი — მიდლსბრო | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ვესტ ჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| უიმბლდონი — ქუინზ პარკი | 1,5 | 2,8 | 3,8 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 24-ე ტური.
19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| კანი — ოსერი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| მონაკო — ბორდო | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ნანტი — ლილი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| გენიონი — ბასტია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლე ავრი — პსჟ | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| გინგამი — სენტ ეტიენი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლანსი — ნიცა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მონპელიე — მარტიგი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| სტრასბური — მეცი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ლიონი — რენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური
20-21 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — რაიო ვალეკანო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოვიედო — სარაგოსა | 1,7 | 3,0 | 2,7 |
| ბეტისი — მერიდა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ბარსელონა — ვალიადოლიდი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ვალენსია — დეპორტივო | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| კომპოსტელა — სელტა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სალამანკა — ესპანიოლი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ტენერიფე — სევილია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ალბასეტე — სპორტინგი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | 2,2 | 2,5 | 2,3 |
| რასინგი — ატლეტიკი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

იტალიის ჩემპიონატი. მე-18 ტური.
21 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| კალიარი — უდინეზე | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| კრემონეზე — იუვენტუსი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| მილანი — პადოვა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ნაპოლი — ბარი | 1,35 | 2,8 | 5,0 |
| პარმა — ატალანტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| პიაჩენცა — ლაციო | 2,2 | 2,6 | 2,2 |
| რომა — სამპდორია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ტორინო — ფიორენტინა | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ვიჩენცა — ინტერი | 1,6 | 2,7 | 3,4 |

გოლების რაოდენობა ტურში:

ინგლისი: 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
იტალია: 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი: 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | 2-0 | | | | | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | [illegible] | | | [illegible] | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | | 0-3 | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | | | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | | | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | | 1-0 | | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | | | ■ | 2-0 | | | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | 0-0 | | | | | | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | | 0-0 | 3-3 | | | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა (მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:
თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

# წლევანდელი დიდი ჩოგბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ვადა | ქალაქი | საპრიზო ფონდი | შარშანდელი ფინალი |
|---|---|---|---|
| | **კაცები** | | |
| 29.I-4.II | შანხაი | 350 000 | — |
| 29.I-4.II | ჟენევა | 400 000 | — |
| 12.II-18.II | დუბაი | 1 039 750 | ფერეირა-გაუდენცი 5:7, 6:1, 6:4 |
| 12.II-18.II | მარსელი | 539 250 | ბეკერი-ვაცეკი 6:7, 6:4, 7:5 |
| 12.II-18.II | სან ხოსე | 328 000 | აგასი-ჩანგი 6:2, 1:6, 6:3 |
| 19.II-25.II | ანტვერპენი | 1 000 000 | — |
| 19.II-25.II | მემფისი | 808 000 | მარტინი-პაარპიუსი 7:6, 6:4 |
| 26.II-3.III | მილანი | 814 250 | კაფელნიკოვი-ბეკერი 7:5, 5:7, 7:6 |
| 26.II-3.III | ფილადელფია | 714 250 | ენკვისტი-ჩანგი 0:6, 6:4, 6:0 |
| 4.III-10.III | როტერდამი | 750 000 | კრაიჩეკი-პაარპიუსი 7:6, 6:4 |
| 4.III-10.III | სქოთსდეილი | 328 000 | კურიე-ფილიპუსისი 7:6, 6:4 |
| 4.III-10.III | მეხიკო-სიტი | 330 000 | მუსტერი-მელიგენი 7:6, 6:5 |
| 11.III-17.III | ინდიან უელსი | 2 200 000 | სამპრასი-აგასი 7:5, 6:3, 7:5 |
| 11.III-17.III | კოდანი | 228 000 | ზინერი-ოლხოვსკი 6:7, 7:6, 6:3 |
| 21.III-31.III | კი ბისკაინი | 2 550 000 | აგასი-სამპრასი 3:6, 6:2, 7:6 |
| 18.III-24.III | პეტერბურგი | 325 000 | კაფელნიკოვი-რაო 6:2, 6:2 |
| 25.III-31.III | კასაბლანკა | 228 000 | შალერი-ა.კოსტა 6:4, 6:2 |
| 8.IV-15.IV | დელი | 430 000 | — |
| 8.IV-15.IV | ეშტორილი | 625 000 | მუსტერი-ა.კოსტა 6:4, 6:2 |
| 8.IV-15.IV | ჰონკონგი | 328 000 | ჩანგი-ბიორკმანი 6:3, 6:1 |
| 15.IV-21.IV | ტოკიო | 1 060 000 | კურიე-აგასი 6:3, 6:4 |
| 15.IV-21.IV | ბარსელონა | 925 000 | მუსტერი-ლარსონი 6:2, 6:1, 6:4 |
| 15.IV-21.IV | ბერმუდი | 328 000 | პადადი-ფრანა 7:6, 3:6, 6:4 |
| 22.IV-28.IV | მონტე-კარლო | 2 200 000 | მუსტერი-ბეკერი 4:6, 5:7, 6:4 |
| 22.IV-28.IV | სეული | 228 000 | რუსეცკი-რემანი 6:4, 3:1 შეწყდა |
| 29.IV-5.V | ატლანტა | 328 000 | ჩანგი-აგასი 6:2, 6:7, 6:4 |
| 29.IV-5.V | მნიჩოვი | 525 000 | ფერეირა-შტიპი 7:5, 7:6 |
| 29.IV-5.V | პრაღა | 365 000 | ულირაპი-ხ.სანჩესი 6:2, 6:2 |
| 6.V-12.V | ჰამბურგი | 2 200 000 | მედვედევი-ივანიშევიჩი 6:3, 6:2, 6:1 |
| 6.V-12.V | ფაინპერსტი | 289 000 | ენკვისტი-ფრანა 6:3, 3:6, 6:3 |
| 13.V-19.V | რომი | 2 200 000 | მუსტერი-ბრუგერა 3:6, 7:6, 6:2, 6:3 |
| 13.V-19.V | კორალ-სპრინგსი | 270 000 | ვუდბრიჯი-რუსეცკი 6:4, 6:2 |
| 20.V-26.V | დიუსელდორფი | 1 650 000 | — |
| 20.V-26.V | სენტ პოლტენი | 425 000 | მუსტერი-ულირაპი 6:3, 3:6, 6:1 |
| 27.V-9.VI | პარიზი | ? | მუსტერი — ჩანგი 7:5, 6:2, 6:4 |
| 10.VI-16.VI | ქვინსი | 700 000 | — |
| 10.VI-16.VI | როზმილენი | 328 000 | კუჩერა-იარიდი 7:6, 7:6 |
| 10.VI-16.VI | მაია-ოპორტო | 425 000 | — |
| 17.VI-23.VI | ჰალე | 900 000 | როსე-შტიპი 3:6, 7:6, 7:6 |
| 17.VI-23.VI | ნოტინჰემი | 328 000 | ფრანა-ვუდბრიჯი 7:6, 6:3 |
| 17.VI-23.VI | ბოლონია | 328 000 | რიოსი-ფილიპინი 6:2, 6:4 |
| 24.VI-7.VII | უიმბლდონი | ? | სამპრასი-ბეკერი 6:7, 6:2, 6:4, 6:2 |
| 8.VII-14.VII | ვესტადი | 550 000 | კაფელნიკოვი-პლასეკი 6:3, 6:4, 3:6, 6:3 |
| 8.VII-14.VII | ბოსტადი | 328 000 | მელიგენი-რუუდი 6:4, 6:4 |
| 8.VII-14.VII | ნიუპორტი | 255 000 | პრინოსილი-უიტონი 7:6, 5:7, 6:2 |
| 15.VII-21.VII | შტუტპარტი | 1 040 000 | მუსტერი-აპელი 6:2, 6:2 |
| 15.VII-21.VII | ვაშინგტონი | 675 000 | აგასი-ედბერგი 6:4, 2:6, 7:5 |
| 22.VII-4.VIII | ატლანტა | ? | — |
| 22.VII-28.VII | კიცბუელი | 425 000 | ა.კოსტა-მუსტერი 4:6, 6:4, 7:6, 2:6, 6:4 |
| 29.VII-4.VIII | ამსტერდამი | 500 000 | რიოსი-სიმერინკი 6:4, 7:5, 6:4 |
| 29.VII-4.VIII | ლოს-ანჟელესი | 328 000 | შტიპი-ენკვისტი 6:7, 7:6, 6:2 |
| 5.VIII-11.VIII | ცინცინატი | 2 200 000 | აგასი-ჩანგი 7:5, 6:2 |
| 5.VIII-11.VIII | სან მარინო | 228 000 | მუსტერი-გაუდენცი 7:5, 6:2 |
| 12.VIII-18.VIII | ინდიანოპოლისი | 1 040 000 | ენკვისტი-კარბახერი 6:4, 6:3 |
| 12.VIII-18.VIII | ნიუ-ჰევინი | 1 040 000 | აგასი-კრაიჩეკი 3:6, 7:6, 6:3 |
| 12.VIII-18.VIII | უმაგი | 400 000 | მუსტერი-კ.კოსტა 3:6, 7:6, 6:4 |
| 19.VIII-25.VIII | ტორონტო | 2 000 000 | — |
| 19.VIII-25.VIII | ლონგ აილენდი | 250 000 | კაფელნიკოვი-სიმერინკი 7:6, 6:2 |
| 26.VIII-8.XI | აშშ ღია | ? | სამპრასი-აგასი 6:4, 6:3, 4:6, 7:5 |
| 9.IX-15.IX | ბუქარესტი | 1 375 000 | მუსტერი-შალერი 6:3, 6:4 |
| 9.IX-15.IX | ბოგოტა | 328 000 | ლაპენტი-ტობონი 2:6, 6:1, 6:4 |
| 23.IX-29.IX | ბაზელი | 1 000 000 | კურიე-სიმერინკი 6:7, 7:6, 5:7, 6:2, 7:5 |
| 23.IX-29.IX | პალერმო | 328 000 | კლავეტი-ბურილო 6:7, 6:3, 7:6 |
| 23.IX-29.IX | კუალა-ლუმპური | 414 000 | რიოსი-ფილიპუსისი 7:6, 6:2 |
| 30.IX-6.X | ლიონი | 600 000 | ფერეირა-სამპრასი 7:6, 5:7, 6:3 |
| 30.IX-6.X | ვალენსია | 228 000 | — |
| 30.IX-6.X | პეკინი | 328 000 | ჩანგი-ფურლანი 7:5, 6:2 |
| 7.X-13.X | ვიდენი | 490 000 | დევულფი-მუსტერი 7:5, 6:2, 1:6, 7:5 |
| 7.X-13.X | ტოკიო | 1 020 000 | ჩანგი-ფილიპუსისი 6:3, 6:4 |
| 14.X-20.X | ტულუზა | 400 000 | ბეჩი-კურიე 6:4, 6:7, 6:0 |
| 14.X-20.X | ოსტრავა | 400 000 | ფერეირა-ვაშინგტონი 3:6, 6:4, 6:3 |
| 14.X-20.X | ტელ-ავივი | 275 000 | კროციაკი-ხ.სანჩესი 6:3, 6:4 |
| 21.X-22.X | შტუტგარტი | 2 200 000 | — |
| 21.X-22.X | სანტიაგო | 228 000 | დოსედელი-რიოსი 7:6, 6:3 |
| 28.X-3.XI | პარიზი | 2 550 000 | სამპრასი-ბეკერი 7:6, 6:4, 6:4 |
| 28.X-3.XI | მონტევიდეო | 228 000 | ულირაპი-ბერასატეგი 6:2, 6:3 |
| 4.XI-10.XI | სტოკჰოლმი | 825 000 | ენკვისტი-ბოტჩი 7:5, 6:4 |
| 4.XI-10.XI | ბუენოს-აირესი | 328 000 | მოია-მანტილია 6:0, 6:3 |
| 19.XI-24.XI | ჰანოვერი | ? — | |
| | **ქალები** | | |
| 29.I-4.II | ტოკიო | 806 000 | დატე-დავენპორტი 6:1, 6:2 |
| 18.II-18.II | პარიზი | 430 000 | გრაფი-პირსი 6:? 6:2 |
| 19.II-25.II | ესენი | 430 000 | — |
| 19.II-25.II | ოკლაჰომა-სიტი | 161 250 | შულცი-ლიხოვცევა 6:1, 6:2 |
| 26.II-3.III | სან ხუანი | 161 250 | კრიუმერი-ნაგასუკა 7:6, 6:3 |
| 26.II-3.III | ლინესი | 161 250 | ნოვოტნა-რიტერი 6:7, 6:3, 6:4 |
| 8.III-17.III | ინდიან უელსი | 550 000 | მ.ჯ.ფერნანდესი-ზვერევა 6:4, 6:3 |
| 22.III-31.III | კი ბისკაინი | 1 550 000 | გრაფი-დატე 6:1, 6:4 |
| 1.IV-7.IV | ჰილტონ ჰილი | 806 000 | მარტინესი-მაგდ. მალეევა 6:1, 6:1 |
| 8.IV-14.IV | ამელია აილენდი | 430 000 | მარტინესი-საბატინი 6:2, 6:4 |
| 8.IV-14.IV | ჯაკარტა | 161 250 | პაკი — სპირლეა 2:6, 7:6, 6:4 |
| 15.IV-21.IV | ტოკიო | 161 250 | ფრეზიერი-დატე 7:6, 7:5 |
| 29.IV-5.V | ჰამბურგი | 430 000 | მარტინესი-ჰინგისი 6:1, 6:0 |
| 29.IV-5.IV | ბოლი | 107 000 | — |
| 6.V-12.V | რომი | 806 250 | მარტინესი-სანჩესი 6:3, 6:1 |
| 6.V-12.V | ბუდაპეშტი | 107 500 | — |
| 13.V-19.V | ბერლინი | 806 000 | სანჩესი-მაგდ. მალეევა 6:4, 6:1 |
| 13.V-19.V | ბარნმუტი | 107 000 | რიხტერი-პეი 6:7, 6:4, 6:3 |
| 20.V-26.V | ბარსელონა | 250 000 | სანჩესი-მაიოლი 7:5, 6:0 |
| 20.V-26.V | ედინბურგი | 188 125 | მაკგრათი-ბოლეგრაფი 6:7, 7:5 |
| 20.V-26.V | სტრასბურგი | 161 250 | დავენპორტი-დატე 3:6, 6:1, 6:2 |
| 27.V-9.VI | პარიზი | ? | გრაფი-სანჩესი 7:5, 4:6, 6:0 |
| 10.VI-16.VI | ბირმინჰემი | 161 250 | ჰარისონი-მაკნეილი 6:3, 6:3 |
| 17.VI-23.VI | ისტბურნი | 340 000 | ტოზია-რუბინი 3:6, 6:0, 7:5 |
| 17.VI-23.VI | როზმალენი | 161 250 | — |
| 24.VI-7.VII | უიმბლდონი | ? | გრაფი-სანჩესი 4:6, 6:4, 7:5 |
| 15.VII-21.VII | ვარშავა | 161 250 | პაულუსი-ფუსტი 7:6, 4:6, 6:4 |
| 15.VII-21.VII | პალერმო | 108 500 | სპირლეა-პაკი 7:6, 6:2 |
| 22.VII-4.VIII | ატლანტა | ? | — |
| 5.VIII-11.VIII | მონრეალი | 806 250 | სელეში-კეტცერი 6:0, 6:1 |
| 5.VIII-11.VIII | ლანკოვიცი | 107 500 | ვიზნერი-დრაგომიროვა 7:6, 6:3 |
| 12.VIII-18.VIII | მანჰეტენ ბიჩი | 430 000 | — |
| 19.VIII-25.VIII | სან დიეგო | 430 000 | მარტინესი-რაიმონდი 6:2, 6:0 |
| 26.VIII-8.VIII | აშშ ღია | ? | გრაფი-სელეში 6:0, 6:1 |
| 9.IX-15.IX | ჰონკონგი | 430 000 | — |
| 9.IX-15.IX | პრაღა | 107 500 | — |
| 9.IX-15.IX | ნაგოია | 107 500 | ჰარვეი-კლაინი 6:4, 6:2 |
| 16.IX-22.IX | ტოკიო | 430 000 | პირსი-სანჩესი 6:3, 6:3 |
| 30.IX-6.X | ლიპსკო | 430 000 | ჰუბერი-მაგდ. მალეევა (უარი) |
| 30.IX-6.X | პეკინი | 107 500 | ჰარვეი-ვონგი 7:5, 6:2 |
| 7.X-13.X | ფილდერშტადტი | 430 000 | მაიოლი-საბატინი 6:4, 7:5 |
| 7.X-13.X | სურაბაია | 107 000 | ვონგი-ვი ინგიანი 6:1, 6:1 |
| 14.X-20.X | ციურიხი | 806 250 | მაიოლი-პირსი 6:4, 6:4 |
| 21.X-27.X | კვებეკი | 161 250 | შულცი-მონამი 7:6, 6:2 |
| 21.X-27.X | ლუქსემბურგი | 161 250 | — |
| 28.X-3.XI | ჩიკაგო | 430 000 | — |
| 4.XI-10.XI | ოკლენდი | 430 000 | მაგდ. მალეევა-სუგიამა 6:3, 6:4 |
| 4.XI-10.XI | ჰონკონგი | 107 500 | — |
| 11.XI-17.XI | ფილადელფია | 806 250 | გრაფი-მაკ ნილი 6:1, 4:6, 6:3 |
| 11.XI-17.XI | ტაივანი | 107 500 | — |
| 18.XI-24.XI | ნიუ იორკი | 2 000 000 | გრაფი-ჰუბერი 6:1, 2:6, 6:1, 4:6, 6:3 |

## შემოუშველებული სიტყვა

# ოქროს მედალი ლონგ-აილენდის უბანში

გაგიგონიათ ასეთი უბანი? ლონგ აილენდი ჰქვია, რაიც გრძელ კუნძულს ნიშნავს. გრძელი უბანი ჩვენი საშუალო ქალაქის ტოლა იქნება და ნიუ იორკის შტოდ არის ჩამოყალიბებული.

ახლა კი გიამბობთ ერთ ისტორიას, რომელიც ოც წელიწადს გაიწელა და ამ უბნელ კაცს გადახდა.

ჩვენთვის ეს ამბავი იმით არის საინტერესო, რომ ლონგ აილენდელი კაცი სპორტსმენია, მას ჰოვარდ დევისი ჰქვია, 39 წლისაა და კრივის საშუალო წონაში მოღვაწეობს.

1976 წელს, მონრეალის ოლიმპიადაზე ჰოვარდ დევისი (**ფოტოზე**) ამერიკის ნაკრების წევრი ყოფილა და ოდინდელი ოლიმპიური პრინციპი — მთავარი მონაწილეობააო, არად ჩაუგდია. თავის წონაში ყველა გაულახავს და ცხრამეტი წლისა ოქროს მედლით დაუჯილდოვებიათ. ყმაწვილი კაცი ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარა და რა უნდა იყოს ამაზე დიდი ბედნიერება? ოღონდ დიდ გამარჯვებას თან დართვია ცუდი ამბავიც — ტრიუმფის დღეებში გარდაცვლილა ჰოვარდის დედა და მოკრივეს გადაუწყვეტია, ჩემი გამარჯვება და ეს ოქროს მედალი მისი ხსოვნისათვის იყოსო.

„არც კი მიფიქრია, რომ მედალი ჩემი იყო, სულ დედას მახსენებდა და ამგვარი მოგონებით ვცხოვრობდიო" — აგრე აცხადებს მოკრივე.

ქურდი და ხელმრუდი სად გამოილევა — მით უფრო კაპიტალისტურ ქვეყანაში. ოლიმპიადიდან ხუთი წლის თავზე დევისის ბინა გაქურდეს ლონგ აილენდის უბანში და სხვა რამ ნივთებს მედალიც გააყოლეს. მოკრივე ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, ზანგური სიწრფელით აცხადებდა, ასე მგონია, დედაჩემი მეორედ მიიცვალაო. პოლიციამ ქურდი ვერ იპოვნა და მედალი მითუმეტეს. აბა როგორია ამხელა ქალაქში ერთი ბეწო ჯილდოს ძებნა, თუნდაც ის კუბერტენული შუქით იყოს განსხივოსნებული. და ამ ამბიდან, ხწორედ ის, როგორც ძველ ზღაპრებში, გავიდა ... წელი.

ქალაქ გოთჰემის (ქუჩის ენაზე ნიუ იორკსა ჰქვია) ლონგ აილენდის უბნის ქუჩაზე მისეირნობდა ამავე უბნელი ჯეიქ ფისელი. ამ ფისელს შორიახლოს შეუნიშნავს მბრწყინავი ნივთი, ახლო მისულა და დევისისეული ოქროს მედალი ჯიბეში ჩაუდევს. გაგონილი კი მქონდა, რომ ვილაც მოკრივეს ჩვენს ლონგ აილენდში მედალი დაუკარგავს, მაგრამ დიდი ხნის ამბავი იყო და არც კი მახსოვდა. ავიღე და შინ წამოვიღეო, — ახლაღა იგონებს ფისელი.

ლამის ოთხ წელიწადს მედალს მოსვენება არ მიუცია ჯეიქ-მპოვნელისთვის და მასაც გადაუწყვეტია, პატრონი უნდა ვიპოვნოო.



ფისელი აილენდურ გაზეთ „ნიუსდეიში" მისულა და ყველაფერი უამბია. გაზეთის ამბავი კი ხომ იცით, ისეთი ამბავი ატეხა, რომ აცახცახებული ჰოვარდ დევისი რედაქციაში მივიდა და ესლა აღმოხდა — ჩემი მედალიაო.

ისინი ერთმანეთს შეახვედრეს.

მოკრივე დიდხანს იცრემლებოდა და ფისელს ჰკოცნიდა, რომელსაც ორიოდ სიტყვა წაუბამს ერთმანეთისთვის: „აბა როგორ იქნება, ასეთ კაცს გული ატკინო? ჩვენ უბნელები ვართ და ერთმანეთი უნდა გავიტანოთო".

გახარებულმა ჰოვარდმა „მედისონ სკვერ გარდენის" კრივის დარბაზის აბონემენტი აჩუქა ჯეიქს, თუმცა ესეც არ იკმარა და მას ნაპოვნი მედლის ასლი უძღვნა, რომელიც ადრევე გამოუგზავნა მისთვის ჯილდოს დაკარგვით შეწუხებულ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

„ეს ჩვენი შეხვედრის მოგონება იყოს" — უთქვამს მოკრივეს.

აი, ასე დამთავრდა ამერიკული ზღაპარი, რომელიც მართლა მოხდა ლონგ აილენდის უბანში.

**გოგი ახვლედიანი**
მესვეტე

---

RUGBY WORLD CUP

# დირექტორთა დირექტორი ძია ლეო

მსოფლიო რაგბში ხელისუფლება შეიცვალა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ოფშორული კომპანიის — „რაგბი ველდ ქაფ ლიმითედის" დირექტორთა საბჭოს დეკემბრის სხდომაზე პენსიაზე გაუშვიათ სამი მოღვაწე: 71 წლის თავმჯდომარე, ირლანდიელი სერ იუართ ბელი; 59 წლის უელსელი ქის როულენდზი, ვინაც ორ კვირაში ირბ-ის მდივნობაზეც ხელს აიღებს, და 64 წლის სამხრეთაფრიკელი, დოქტორი ნიკ ლაბუშანი.

ამათ შეცვლიან ახალი დირექტორები: „ლომების" ექს-კაპიტანი თომი ქირნანი (ირლანდია); ცნობილი ვექილი ვერნონ პიუ (უელსი), ირბ-ში რომლის ზეობაზეც მოდის რაგბის გაოლიმპიურება და გაპროფესიულება, და რობ ფიშერი (ახალი ზელანდია).

კომპანიის კიდევ ორი დირექტორი უცვლელი დარჩა. ესენი არიან 62 წლის ფრანგი მარსელ მარტენი და 54 წლის ავსტრალიელი **ლეო ვილიამსი**, რომელიც საბჭოს ახალ თავმჯდომარედაც აურჩევიათ.

ბატონ ლეოზე საგანგებოდ ღირს შეჩერება, ვინაიდან საქართველოს რაგბის კავშირის დიდი მეგობარია და ჩვენებისაგან დავალებაც აქვს მიღებული, რათა მშობლიურ ქვინზლენდში გამონახოს თითო მწვრთნელი და მსაჯი, დროებით საქართველოში რომ დასახლდებიან და ჩვენს რაგბს ფეხზე დააყენებენ.

ბატონი ლეო ერთობ ცნობილი ვექილი და ნოტარიუსია, შეესვლება ავსტრალიის, პაპუასეთისა და სოლომონეთის უზენაეს სასამართლოებში, ბარემ ათი საერთაშორისო კომპანიის დირექტორიცაა, ავსტრალიის ფლოტის პოლკოვნიკია, რაგბის გარდა წყალბურთსა და ცურვაშიც მოუსინჯავს ძალა, ქვინზლენდის სარაგბო იერარქიაში კი თითქმის ყველა საფეხური სჭერია. ვილიამსი დღესდღეობით ავსტრალიის რაგბის კავშირის თავმჯდომარე და მისი ერთ-ერთი წარმომადგენელია საერთაშორისო საბჭოში.

„რაგბი ველდ ქაფ ლიმითედს" შარშანდელი მსოფლიო თასის შემოსავალი საბოლოოდ დაუანგარიშებია. ყველა წილის გაცემის შემდეგ 10 მილიონი გირვანქა დარჩენილა მსოფლიოში რაგბის გასავითარებლად და გასავრცელებლად. ეს თანხა გადაეცემა საგანგებო ფონდს, რომლისადმი მიმართვაც ნებისმიერი ქვეყნის რაგბის კავშირს შეუძლია. თუ ჩვენი რაგბის მამები ფონდს თავიანთი განზრახვის მიზანშეწონილებაში დაარწმუნებენ, არათუ ბურთებითა და სხვაგვარი აღჭურვილობით უზრუნველყოფენ ყველა აქაურ გუნდს, არამედ თვით რაგბის სათამაშო მოედნების მოწყობაც შეეძლებათ.



დირექტორები: ლეო ვილიამსი (მუქი პერანგით) და დოქტორი ნიკ ლაბუშანი მორაგბეთა მასპინძელ ქალბატონთან ლაღობენ

**ზაზა ფხაკაძე**

16. I. კარდიფი. უელსი 31 (21) (3ლ: ი. ევანსი - 2, ჯ. თომასი) — იტალია 26 (0) (2ლ: პროპერცი, გარდნერი)
ხუთი ერის პირველობა ხვალ იწყება საფრანგეთი — ინგლისისა და ირლანდია — შოტლანდიის მატჩებით

---



### რაგბის ნაღდ ქომაგებსა და ძვირფასი წიგნების შემგროვებლებს

საქართველოს რაგბის კავშირი და ქეიფთაუნის საშუამავლო ფირმა „ინოვეთივ სპორტს მარკეტინგი" სთავაზობენ შარშანდელი მსოფლიო თასის ამსახველ ალბომს, რომელიც სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირისა და ქვეყნის სპორტის მინისტრის მიერაა მოწონებული.

**160-გვერდიანი წიგნი დაბეჭდილია 135-გრამიან ცარცის ქაღალდზე და ზომით თაბახს ემთხვევა. ტექსტის ავტორები ცნობილი სამხრეთაფრიკელი ჟურნალისტები პაულ დობსონი და დან რეტიფი არიან. ფოტოგრაფია ფერადი და საუცხოოა, სტატისტიკა კი — ზუსტი და ამომწურავი. ალბომს წამძღვარებული აქვს ნელსონ მანდელას დალოცვა და ავტოგრაფი.**

**წიგნის ფასია 150 რანდი (ივლისში 1 ამერიკული დოლარი უდრიდა 3,6 რანდს.) თუ მოთხოვნა 100-ს აღემატება, ფასი დაიკლებს 135 რანდამდე, მინიმუმ 200 ან 300 წიგნის შეძენისას კი — შესაბამისად 120 და 105 რანდამდე. წიგნების სამხრეთი აფრიკიდან ჩამოტანის ხარჯს კისრულობს საქართველოს რაგბის კავშირი. დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს 1 მარტამდე შეუძლიათ შეეხმიანონ რაგბის კავშირის ოფისს შემდეგი ტელეფონებით: 29 47 54 და 29 47 63.**

---



მურლითარანის ფოტო ვერ ვიშოვეთ, სანაცვლო სურათზე კი პაკისტანის კაპიტანი ვაზიმ აკრამი აწვდის ბურთს, ხოლო მსაჯს სფინქსის სიფათი „შეუკრავს"

# ამაო დისკუსია იდაყვის მოხრა-გაშლის გამო

**ნაახალწლევს** დრამატულად დასრულდა სამხრეთი აფრიკა — ინგლისის კრიკეტის ტესტ-სერია. მას შემდეგ, რაც პრეტორიის ტესტი წვიმამ შეიწირა, იოჰანესბურგისაში კი ინგლისი უეჭველ მარცხს კაპიტანმა ატერთონმა გადაარჩინა, დურბანის ტესტი ისევ ავდარმა ჩაშალა, ნაშობავებს პორტ-ელიზაბეთში დაწყებული მეოთხე ტესტი კი მეტოქეთა სიფრთხილის გამოისობით ისევ ფრედ დასრულდა. ამრიგად, ოთხი მატჩის შემდეგ სერიის ანგარიში კვლავაც 0-0 იყო. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ბოლო ტესტს, ქეიფთაუნში რომ დაიწყო 2 იანვარს. იქაურ „ნიულენდზზე" ინგლისს 15 თამაშში აქამდე 9-ჯერ დაემარცხებინა მასპინძლები და მხოლოდ ორჯერ წაეგო, მაგრამ ამჯერად ვადამდე, სამ დღეში, 10 ბჭით დამარცხდა: ინგლისი 153 და 157 — სამხ. აფრიკა 244 და 67-0 (16 წყებაში). ესოდენ სხარტი შედეგი დიდად განაპირობა ახლადდაგებულმა ზოლმა, ბურთს ძლიერად რომ ირეკლავდა. აფრიკელთა შემადგენლობაში მეორედ ითამაშა ნორჩმა ზანგმა პოლ ადამსმა, ვინაც კრიკეტის გავრცელების პროგრამის წყალობით წამოჩიტული პირველი მერცხალია. ივი ბურთს მოწოდებისას სასწაულად აბზრიალებს მაჯით და ამ დროს თურმე მსაჯსაც მიაჩერდება.

**ისე კი**, უნდა ითქვას, რომ ბურთის მოწოდება კვლავაც ამ დიდებული თამაშის ყველაზე სადაო ელემენტად რჩება, რასაც დიდად განაპირობებს წესები, რომლებშიც წერია, ბურთისთვის ხელის გაშვების წინ მომწოდებელმა ხელი იდაყვში არც უნდა მოხაროს და არც გაშალოსო.

ამის გამო დროდადრო დიდი სკანდალები ატყდება ხოლმე. აი, ახლაც შრი-ლანკა ავსტრალიაში სტუმრობს, მასპინძლებთან შეჯიბრის გარდა ვესტ-ინდოეთთან ერთად თითოდღიანი კრიკეტის „მსოფლიო სერიალში" მონაწილეობს და ფინალშიც გასულა.

კრიკეტში მასპინძლის მსაჯობა წესი და ტრადიციაა. ჰოდა, ასოკირკიტა ავსტრალიელმა მსაჯებმაც მიზანში ამოიღეს ლანკელთა მომწოდებელი მუთაიარ მურლითარანი, რომელსაც ჯერ დარელ ჰეარმა 26 დეკემბერს მელბურნის საშობაო ტესტში დააბრალა, მოწოდების ნაცვლად ბურთს ბჭისკენ ტყორცნისო, 5 იანვარს კი ბრისბენში ვესტ-ინდოეთთან თამაშისას როს ემერსონმა შვიდჯერ (!) ამხილა, ვიდრე შეშინებული ლანკელები უხეირო მომწოდებელს თავად დაასვენებდნენ.

„მურლიდ" ცნობილი მურლითარანის მხილებას სასწრაფოდ გამოეხმაურა კრიკეტის საერთაშორისო საბჭო (იკკ), რომელმაც ლანკელები მკაცრად გააფრთხილა. აზიელები თავისიანს გამოექომაგნენ, ახალბედა ხომ არაა — 22 ტესტი უთამაშია და ტყორცნა მისთვის აქამდე არავის დაუბრალებიაო. მურლის თვით ავსტრალიის ყოფილი კაპიტანი, გამოჩენილი ალან ბორდერი დაუდგა თავდებად. ამით გულმოცემულმა ლანკელებმა მასპინძლებს მოსთხოვეს, ჰეარს ნუღარ ამსაჯებთ ჩვენს თამაშებსო, მაგრამ ავსტრალიელებმა თხოვნა არ ისმინეს და ჰეარმაც 12 იანვარს ლანკელთა კაპიტან არავინდა დასილვას სისხლი გაუშრო, ბჭის იერიშის დროს მინდვრის მოთამაშეებს ეგზოშ ჩპირაშ რაჭომ ცვლიიო, ... აშკარად ტ...ოდა.

ლანკელები დავის მოგვარებას იკკ-ს სთხოვენ. ამასობაში გამოჩენილა მავანი ჰონკონგელი პროფესორი, ვისაც დაუქადნია, „მურლის" მამხილებელ ფირს კომპიუტერში შევაგზავნი, საგანგებო მილებიან მოდელს ავაგებ და მანქანური ანალიზით დავადგენ, ვინაა მართალი და ვინ მტყუანიო.

**უაფლან ჯანდიერი**
უცხო თამაშობათა ექსპერტი

---

## საგულისხმო ამბები



**სამშაბათს** ჭორი დარხეულა, ყინულის ჰოკეის ზე-ვარსკვლავი და სუპერ-ბომბარდირი, კანადელი ვეინ გრეცკი (**ფოტოზე**) გაისად შეიძლება „სენტ-ლუის ბლუზში" გადავიდეს „ლოს-ანჯელეს კინგზიდან", სადაც თავის დროზე პიკანტური ფილმების მონაწილე ახლადშერთული ცოლის ხათრით გადავიდა „ედმონტონ ოილერზიდან", რომელშიც პირვანდელი კონტრაქტით 1999 წლამდე უნდა ეთამაშა, რის გამოც ნომრად დღესაც 99 აქვს.

**პრივის** მაფიოზო მენეჯერებმა ლენოქს ლუისს რომ არ შეახვედრეს, ამით გულმოსულმა რიდიკ ბოუმ სამი წლის წინ მსოფლიო საბჭოს (ვბკ) საჩემპიონო სარტყელი სანაგვეში სახალხოდ მოისროლა და ზედაც დააფურთხა. მას აქეთ ბევრი ჩემპიონი გამოიცვალა ოთხივე ვერსიით, წელს 20 აპრილისათვის ლას-ვეგასის „სიზორზ პალას ოტელში" კიდეც დაინიშნა ბოუ — ლუისის შერკინება, მაგრამ აწ უკვე ორგანიზაციის (ვბო) ჯილა ბოუს საკაბელო ტელესისტემა „თაიმ ვორნერთან" ურთიერთობის დავთრები რომ არევია, ამის წყალობით ესოდენ ნანატრი შერკინების გამართვა ისევ საეჭვიო გამხდარა.

**წლის ბოლოს** ფორმულა 1-ის პილოტებს წერით გამოცდებს ჩააბარებინებენ. როგორც ავტოსპორტის მთავარ ხელისუფალს, ბრიტანელ მაქს მოუზლის უთქვამს, მავანი მრბოლები გამოტყდომიან, ავარიები იმიტომ შეგვემოხვა და შარშიც იმიტომ გავეხვიეთ, რომ რბოლის წესები არ ვიცოდითო. პილეთებში ცალკე საკითხებად შეტანილი იქნება ხასიგნალო ალმები, უსაფრთხოების მანქანა, პიტ-ლეინში ქცევა, მანქანის მოცურება და მისთანები, მაგრამ შუმახერისა და ჰილის გასახარად თურმე არაა გათვალისწინებული გასწრების წესების ცოდნის შემოწმება. ვინც პირველ „ეგზამენს ვერ დაიჭერს", ჩათვლაზე მეორედაც დაუშვებენ, ამის ჩამფლავებლებს კი 1997 წლის ჩემპიონატში აღარ აასპარეზებენ. გამოცდის ჩასაბარებლად მრბოლები პარიზში უნდა შეიკრიბონ.

**ნუკრი სოვდაგაროვი**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ მეძველია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

სარედაქციო კოლეგია:

**ილია ბაბუნაშვილი**
**ზაალ გიგინეიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
**მამუკა კვარაცხელია**
**მერაბ რატიშვილი**
**მამუკა ჩიხლაძე**
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

გამომცემელი
**ზურაბ ფოცხვერია**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29